



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

გიორგი ცეცხლაძის

სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე:

თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნა

ხელმძღვანელი: პროფესორი ნონა თოდუა

თბილისი

შემოკლებანი.....	3
I. შესავალი.....	4
II. ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის ძირითადი თეორიები	
1. სუბიექტური თეორია.....	5
2. ობიექტური თეორია.....	9
2.1. ფორმალურ-ობიექტური თეორია.....	10
2.2. მატერიალურ-ობიექტური თეორია.....	12
3. მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნა, როგორც ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის კრიტერიუმი.....	17
III. დანაშაულის ამსრულებლობის სახეები	
1. უშუალო ამსრულებელი.....	21
2. თანაამსრულებელი.....	23
3. შუალობითი ამსრულებელი.....	29
IV. ზოგიერთი დანაშაულის ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა	
1. დანაშაულები, რომელთა ჩადენა ყველას შეუძლია.....	37
2. თანაამსრულებლობა ძალადობით დელიქტებში.....	37
3. თანაამსრულებლობა სპეციალურ დელიქტებში.....	39
4. საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტები (manu propria).....	41
V. დანაშაულში თანამონაწილეობა	
1. დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება.....	42
2. თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება.....	47
3. დანაშაულში თანამონაწილეობის სახეები	
3.1. ორგანიზატორი.....	48
3.2. წამქეზებელი.....	51
3.3. დამხმარე.....	53
VI. დასკვნა.....	58
ბიბლიოგრაფია.....	6

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

სსკ — სისხლის სამართლის კოდექსი

ნაწ. — ნაწილი

პუნ. — პუნქტი

ტ. — ტომი

ციტ. — ციტირებულია

სხვ. — სხვა

მაგ. — მაგალითად

ე.ი. — ესე იგი

ა.შ. — ასე შემდეგ

გვ. — გვერდი

იხ. — იხილეთ

დანვრ. — დანვრილებით

დასახ. — დასახელებული

რედ. — რედაქტორი

გერმანია — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

I. შესავალი

დანაშაულის ამსრულებლობა და თანამონაწილეობა სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტებია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედი რედაქციის მიხედვით,¹ კერძო ნაწილის თითოეული მუხლი აგებულია ერთპიროვნულ ამსრულებელზე, ე.ი. არ არსებობს დანაშაული ამსრულებლის გარეშე. იგი დანაშაულის ცენტრალური ფიგურაა. ხოლო დანაშაულში თანამონაწილე პირი დამოუკიდებლად დანაშაულს ვერ ჩაიდენს; მასთან ერთად აუცილებელია არსებობდეს მინიმუმ ერთი ამსრულებელი.

ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხი, მიუხედავად ამ საკითხზე არსებული არაერთი გამოკვლევისა, სისხლის სამართლის დოგმატიკასა და პრაქტიკაში დღემდე საკამათოა. საქართველოში დანაშაულის ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საკითხებს მონოგრაფიები მიუძღვნეს ისეთმა გამოჩენილმა მეცნიერებმა, როგორებიცაა პროფესორები: თინათინ წერეთელი, ოთარ გამყრელიძე, ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისი.²

დღესდღეობით სახელმწიფოს ოფიციალური ორგანოების წარმოებული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ დანაშაულის მნიშვნელოვანი რაოდენობა ჩადენილია თანაამსრულებლობით (ჯგუფურად),³ რაც განაპირობებს მათ მიმართ მომეტებულ ინტერესს. სამწუხაროდ, პრაქტიკოსი იურისტების მიერ თანაამსრულებლობის განმარტება არაერთგვაროვანია. მაგ. შესაძლებელია, ერთმა მოსამართლემ არსებითად ერთი და იგივე შემთხვევა თანაამსრულებლობად დააკვალიფიციროს, ხოლო მეორემ —

¹ 1999 წლის 22 ივლისის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

² იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 1965; ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, 1974; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრისი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 134-280.

³ ამასთან დაკავშირებით იხ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე: <http://www.geostat.ge>

თანამონაწილეობად. ამასთან, სისხლის სამართლის თეორიაშიც გრძელდება მსჯელობა და კამათი იგივე საკითხზე. სამართლის თეორიასა და პრაქტიკას შორის საზღვრის გავლენა არასწორია, რადგან ორივე მათგანი სამართლის შემადგენელი ნაწილია. სამართალია ორივე: თეორიაც და პრაქტიკაც. რაც უფრო განვითარებულია სახელმწიფო, მით უფრო თან ხვდება ერთმანეთს თეორია და პრაქტიკა.

პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზი ის არის, რომ განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხავი ინტერპრეტაცია ეძლევა ისეთ ცნებებს, როგორებიცაა თანამონაწილეობა და თანამონაწილეობა. ამ უკანასკნელთა განსხვავებულ შეფასებებს კი უფრო დიდ პრობლემამდე მივყავართ: შესაძლებელია, უხეშად ირღვეოდეს ბრალდებულის ისეთი უფლება, როგორცაა სამართლიანი სასამართლოს უფლება, აღიარებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით.⁴ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია სახელმწიფოში მოქმედი ოფიციალური კანონმდებლობის ერთგვაროვანი განმარტება და აღსრულება. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არის ამოსავალი წერტილი საკითხის სწორი შეფასებისთვის.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს სწორედ დანაშაულის ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ინსტიტუტებთან დაკავშირებული პრობლემების განხილვასა და ანალიზს. პრობლემის განხილვა შემოთავაზებული იქნება როგორც ქართული, ისე გერმანული კანონმდებლობის მიხედვით.

ნაშრომში დასმული საკითხების გამოსაკვლევად ძირითადად გამოყენებული იქნება გრამატიკული, ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი, სისტემური და ფორმალურ-ლოგიკური მეთოდები.

II. ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის ძირითადი თეორიები

1. სუბიექტური თეორია

დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილისა და ამსრულებლის გამიჯვნის სუბიექტურ თეორიას გერმანიაში ჩაეყარა საფუძველი. სისხლის სამართლის დოგმატიკაში სუბიექტური თეორიის გაჩენის აუცილებლობა გამოიწვია

⁴ 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (საქართველოსთან მიმართებით ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან).

დანაშაულებრივი შედეგის პირობათა აბსოლუტური თანასწორფასოვნების თეორიამ, რომელიც დანაშაულებრივი შედეგის დადგომის ყველა წინაპირობას სრულად თანასწორ (ეკვივალენტურ) პირობად აღიარებს.⁵ ე.ი. დანაშაულებრივ შედეგის დადგომასთან მიმართებით ქმედების ძირითადი აქტორის, ამსრულებლის და სხვა პირის, რომელიმე სახის თანამონაწილის ქმედებები ერთმანეთის ეკვივალენტურია შედეგის გამომწვევი მიზეზის თვალსაზრისით და ისინი შეუძლებელია გაიმიჯნოს ობიექტური ნიშნით.⁶ ამდენად, გამიჯვნის კრიტერიუმად დამნაშავეთა სუბიექტური დამოკიდებულებაა უმთავრესი.

სუბიექტური თეორიის არსი შემდეგია: ამსრულებელია ის, ვისაც „სურდა ქმედება, როგორც საკუთარი“ (animus auctoris), ხოლო დამხმარე არის ის, ვისაც „ქმედება სურდა, როგორც სხვისი“ (animus socii).⁷ სუბიექტური თეორია საერთოდ არ იცნობს ისეთ ინსტიტუტს, როგორიცაა წამქეზებელი, რადგან იგი გვევლინება დანაშაულის ჩადენის ინიციატორ პირად. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენა მისი ინტერესითაა მოცული, ამდენად, წამქეზებელიც ამსრულებელია.⁸ სუბიექტური თეორიის მიხედვით, „ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს ის, ვინც მონაწილეობს ქმედობის შესრულებაში და აქვს ნება, შეასრულოს საკუთარი დასჯადი ქმედობა, თუნდაც მისი მონაწილეობა მეორეხარისხოვანი იყოს; დამხმარე არის ის, ვინც მონაწილეობს ქმედებაში და აქვს ნება, მხარი დაუჭიროს სხვის ქმედობას, თუნდაც იგი მნიშვნელოვან აღმასრულებელ მოქმედებას ახორციელებდეს.“⁹ ამდენად, ქმედების ჩადენაში საკუთარი ინტერესის არქონა გამორიცხავს ამსრულებლის არსებობას.

სუბიექტურ თეორიას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ნორმატიული საფუძველი არ გააჩნია. სსკ-ის 22-ე მუხლის მიხედვით, ამსრულებლის არც ერთ სახეში არ იკითხება ქმედების სურვილი და ინტერესი. კოდექსი აქცენტს აკეთებს ამსრულებლის მიერ რეალურად განხორციელებულ ქმედებაზე, ხოლო რა სურდა ამსრულებელს, არაფერია ნათქვამი. იგივე შეიძლება ითქვას გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ამსრულებლის შესახებაც, რომელიც განმარტებულია, როგორც პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა თვითონ ან სხვისი მეშვეობით.¹⁰

⁵ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 93-95.

⁶ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 93-95, გვ. 94.

⁷ იხ. თ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95; ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 142-144.

⁸ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 97.

⁹ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 95.

¹⁰ German criminal code, section 25 (1).

სუბიექტურ თეორიას საყრდენი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე I პარაგრაფის პირველმა ალტერნატივამ („ქმედება თვითონ ჩაიდინა“) გამოაცალა.¹¹

თუმცა გერმანიის სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკა გასული საუკუნის შუა ხანებში იცნობდა დანაშაულის ამსრულებლის სუბიექტური თეორიის მიხედვით კვალიფიცირებას. კერძოდ, 1940 წელს მომხდარი „აბაზანის შემთხვევა“, რომელიც ახალშობილის მკვლელობას ეხებოდა, საბოლოოდ სუბიექტური თეორიის მიხედვით გადაწყდა. გერმანიის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა ორი ქალბატონი (დები), რომლებსაც ჰყავდათ ტირანი მამა. ერთ-ერთ მათგანს ქორწინების გარეშე შეეძინა შვილი, რომლის შესახებაც გოგონების მამამ არაფერი იცოდა. მამის რისხვისგან თავის არიდების მიზნით, დებმა გადაწყვიტეს ახალშობილის თავიდან მოშორება. ახალნამშობიარევემა დედამ ბავშვის დახრჩობა დას დაავალა, რომელმაც დავალება უშუალოდ აღასრულა და ბავშვი სააბაზანოში დაახრჩო.¹² რაიონულმა სასამართლომ ამ საქმეზე ბავშვის დედა ცნო მკვლელობის წამქეზებლად, როგორც ეს ობიექტურად იყო მოცემული, ხოლო უშუალოდ მკვლელობის ჩამდენი დეიდა — ქმედების ამსრულებლად. მაშინდელი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი მკვლელობისთვის სიკვდილის დასჯას ითვალისწინებდა.¹³ თუმცა გადაწყვეტილება გასაჩივრდა გერმანიის საიმპერიო სასამართლოში.¹⁴ ეს უკანასკნელი დაეყრდნო სუბიექტურ თეორიას და განმარტა, რომ ქმედების უშუალოდ ჩამდენ დეიდას არ სურდა ქმედება, როგორც საკუთარი. ამიტომ იგი ჩაითვალა დამხმარედ. ქმედების ინტერესი მხოლოდ დედას ჰქონდა და არა დეიდას.

გერმანიის საიმპერიო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება იყო *contra legem*¹⁵ განმარტების შემთხვევა. ამ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს მოტივი დეიდის დრაკონული სასჯელისგან დახსნა იყო, ხოლო დეიდის ამსრულებლად ჩათვლის შემთხვევაში სასამართლო მის მიმართ ვერ

¹¹ ი. ვესელსი, გ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება (თარგმანი), 2010, გვ. 292.

¹² იხ. დანვრ. ვებ-გვერდზე: <http://www.eura.com/>

¹³ ე. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბილისი, 2011, გვ. 143.

¹⁴ გერმანიის საიმპერიო სასამართლო ეწოდებოდა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განმხილველ უზენაეს სასამართლოს გერმანიაში 1879-1945 წლებში.

¹⁵ იხ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 161.

გამოიყენებდა სიკვდილის დასჯას (დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა სასჯელის სახედ არ ითვალისწინებდა სიკვდილს.¹⁶).

გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში ასევე არსებობს არანაკლებ გახმაურებული „სტაშინსკის შემთხვევა“, რომელშიც ყოფილი საბჭოთა კავშირის აგენტი სტაშინსკი მკვლელობაში გაასამართლეს, როგორც საბჭოთა უშიშროების ორგანოს დამხმარე და არა ამსრულებელი. ამგვარად იგი გადაარჩინეს სამუდამო პატიმრობას.¹⁷

სუბიექტური თეორიის გამოყენებას გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში მომდევნო ხანებში პრაქტიკულად ადგილი აღარ ჰქონია. ამდენად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ გერმანიის სისხლის სამართლის პრაქტიკაში ამსრულებლის სუბიექტური თეორია ნამდვილი ამსრულებლის ინტერესების დასაცავად განვითარდა.

სუბიექტურ თეორიას საქართველოში, როგორც უკვე ითქვა, არა მარტო ნორმატიული საფუძველი არ აქვს, არამედ მწვავედ არის გაკრიტიკებული როგორც ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ურთიერთგამიჯვნის მეცნიერული თეორია.¹⁸ „სუბიექტური თეორია თავისი თანმიმდევრული განვითარებისას ლიტონი დანაშაულებრივი განზრახვის დასჯადობამდე მიგვიყვანდა.“¹⁹

აქედან გამომდინარე, გაუგებარია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ ერთ ამსრულებელსა და მეორე ობიექტურად დამხმარე პირს უწოდებს ჯგუფს (მაშასადამე თანაამსრულებლებსაც), იმაზე დაყრდნობით, რომ დამნაშავეებმა დანაშაულის ჩადენამდე გადაწყვიტეს ობიექტური შემადგენლობის განხორციელება.²⁰ თუმცა, საქმიდან ირკვევა, რომ ერთი მათგანი გასაქურდად შევიდა ბინაში, მეორე მათგანი გარეთ დარჩა და მესაკუთრის ან სხვა პირის გამოჩენის შემთხვევაში უნდა გაეფრთხილებინა ბინაში შესული პირი (დარაჯის ფუნქცია). სიტყვები — „მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის დაწყებამდე“²¹ — ობიექტურ

¹⁶ ქ. მჭედლოშვილი-ჰედრისი, სისხლის სამართალი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბილისი, 2011, გვ. 143.

¹⁷ იქვე, გვ. 143.

¹⁸ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 95-99.; გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, თბ. 2007, გვ. 205-206.

¹⁹ თ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, იქვე.

²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 სექტემბრის განჩინება (№191აპ-18).

²¹ იხ. მითითებული განჩინება.

საფუძველს აცლის მსჯელობას, რადგან სასამართლოს მხედველობაში მიღებული აქვს მხოლოდ პირის წინასწარი განზრახვა, ხოლო ობიექტურ სინამდვილეში მომხდარი ფაქტი უგულებელყოფილია.

მართლაც, სუბიექტური თეორიის მთავარი ნაკლი ის არის, რომ პირი მხოლოდ იმიტომ არის ამსრულებელი, რომ აქვს ამსრულებლის ნება, თუმცა რა მტკიცდება ამით, გაურკვეველია.²² „იმ გარემოებას, რომ ვინმეს სურს ქმედობა, როგორც საკუთარი, არ შეიძლება გადააქციოს ქმედობა საკუთარ ქმედობად.“²³ გარდა ამისა, საკუთარი და სხვისი ინტერესის ცნება ბუნდოვანია იმ მხრივადაც, რომ შესაძლებელია როგორც ამსრულებელს, ისე თანამონაწილეს დანაშაულის ჩადენის მეტ-ნაკლებად ერთნაირი ინტერესი ამოძრავებდეთ. „არაა გამორიცხული, რომ დანაშაულებრივი შედეგით ყველაზე მეტად დაინტერესებული დამხმარე აღმოჩნდეს.“²⁴

ზოგადად, დანაშაულში სუბიექტური მხარე ყოველ თანამონაწილე პირს ახასიათებს. დანაშაულში თანამონაწილეობა ცალსახად განზრახი ქმედებაა და მის გარეშე თანამონაწილეობა არც არსებობს (სსკ-ის 23-ე მუხლი). ამდენად, გამოუსადეგარია სუბიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირების გამიჯვნა. მართებულია გ. ნაჭყებიასეული ინტერპრეტაცია სუბიექტური თეორიის იმ მახასიათებლის ნიშნით გამოყენებაზე, როცა საკითხი ეხება ამსრულებლისა და თანამონაწილის განსხვავებულ მოტივებს და ამდენად სხვადასხვა მოტივმა შესაძლოა განაპირობოს განსხვავებული კვალიფიკაცია, ისიც მხოლოდ ერთსა და იმავე სისხლისსამართლებრივ უმართლობაში.²⁵

ამდენად, ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის სუბიექტურ თეორიას ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლებიც შეუძლებელს ხდიან, საზღვარი გავავლოთ ერთი მხრივ ქმედების ამსრულებელსა და მეორე მხრივ — თანამონაწილეს შორის. ყოველ მეცნიერულ თეორიას შეიძლება ახასიათებდეს სუსტი მხარეები, თუმცა სუბიექტური თეორია დღევანდელ იურიდიულ რეალობაში საფუძვლით ვერ პასუხობს იმ მთავარ კითხვას, რა განსხვავებაა ამსრულებელსა და დამხმარეს შორის.

²² თ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, იქვე. გვ. 96.

²³ იქვე, გვ. 97.

²⁴ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, თბ. 2007, გვ. 205.

²⁵ იქვე, გვ. 206.

2. ობიექტური თეორია

ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნისთვის სისხლის სამართლის დოგმატიკაში ორ ზოგად თეორიასთან გვაქვს საქმე - სუბიექტურ და ობიექტურ თეორიებთან. ეს თეორიები ერთმანეთის საპირწონეებია. ამასთან, ობიექტური თეორია თავის მხრივ სხვადასხვა განშტოებად არის წარმოდგენილი დოგმატიკაში, რაც მომდევნო თავებში იქნება განხილული.

ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნისათვის ობიექტური თეორია აქცენტს აკეთებს თანამონაწილე პირების მიერ დანაშაულის ჩასადენად ობიექტურად განხორციელებულ ქმედებებზე. ობიექტური თეორიისთვის თანამონაწილე პირების სურვილები, როგორც ეს სუბიექტური თეორიისთვისაა დამახასიათებელი, ინტერესს მიღმაა დარჩენილი.

ობიექტური თეორიების მიმოხილვისას ძირითადად ყურადღება გამახვილებული იქნება ფორმალურ-ობიექტურ და მატერიალურ-ობიექტურ თეორიებზე. აღნიშნულ თეორიებს არ დაუკარგავთ აქტუალობა და ორივე მათგანს ჰყავს მხარდამჭერები სისხლის სამართლის დოგმატიკასა თუ პრაქტიკაში.

2.1. ფორმალურ-ობიექტური თეორია

ფორმალურ-ობიექტური თეორია ობიექტური თეორიის ღერძია. იგი ყველაზე მარტივად ახასიათებს ამსრულებლის ფუნქციას: ამსრულებელია ის, ვინც დანაშაულს ჩადის თვითონ. მეცნიერულად ამ თეორიის არსი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ამსრულებელია ის, ვინც დანაშაულის მთლიან შემადგენლობას ან მის თუნდაც ერთ ნაწილს მაინც ახორციელებს.²⁶ აუცილებელია, რომ ამსრულებელმა ქმედების შემადგენლობა უშუალოდ განახორციელოს, ხოლო თანამონაწილე პირი ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში არ იღებს უშუალო მონაწილეობას. თანამონაწილე პირი ქმედების შემადგენლობის განხორციელებას მხოლოდ მოსამზადებელი ან მხარდამჭერი ქცევით უწყობს ხელს.²⁷ ფორმალურ-ობიექტური თეორიის მიხედვით ამსრულებლისა და თანამონაწილის ფუნქციების გარკვევა ძალზედ მარტივია,

²⁶ ე. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 145

²⁷ ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, რედ. ი. დვალიძე; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, 2010; გვ. 290

რადგან იგი მკაფიო საზღვარს ავლენს ამსრულებელსა და თანამონაწილეს შორის.

ფორმალურ-ობიექტურ თეორიას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც იზიარებს. ამსრულებლის სამართლებრივი დეფინიცია სწორედ უშუალოდ საკუთარი ხელითა და გონებით დანაშაულის ჩადენაზე მიუთითებს (სსკ-ის 22-ე მუხლის 1-ლი და მე-მე-2 ალტერნატივა). თუმცა, მიიჩნევენ, რომ ფორმალურ-ობიექტურ თეორიასთან არ არის თავსებადი სსკ-ის 22-ე მუხლით განმარტებული ამსრულებლის მესამე ფორმა — შუალობითი ამსრულებლობა. შუალობითი ამსრულებლობა გაშუალოებულად, სხვისი მეშვეობით დანაშაულის ჩადენას ნიშნავს. სწორედ ამის გამო ამ თეორიას სხვადასხვა მეცნიერი აკრიტიკებს და მიუთითებს, რომ ფორმალურ-ობიექტური თეორია არ არის გაზიარებული ქართველი კანონმდებლების მიერ.²⁸ თუმცა, გაურკვეველია, შუალობითი ამსრულებლობის ფორმალურ-ობიექტურ თეორიასთან შეუთავსებლობა სრულად რატომ გამორიცხავს ამ თეორიის აღიარებას? შუალობითი ამსრულებელი სსკ-ის მიხედვით განსაკუთრებული თვისების მქონე ამსრულებელია, რომელიც იმ მიზნით არის აღიარებული ქართველი კანონმდებლების მიერ, რათა დაუსჯელი არ დარჩეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ამსრულებელი იყენებს დანაშაულის ჩასადენად ისეთ პირს, რომელსაც არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ფორმალურ-ობიექტური თეორიის ფარგლებში სავსებით შესაძლებელია შუალობითი ამსრულებლობის საკითხის გადაწყვეტა: ამსრულებელი ცოცხალ იარაღს იყენებს თავისი დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად და ამ შემთხვევაში ცოცხალი იარაღი უშუალოდ, საკუთარი ხელებითა და გონებით ახორციელებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას. ცოცხალი იარაღი ის ადამიანია, ვინც უშუალოდ ჩადის დანაშაულს და ამდენად, ცოცხალი იარაღის მიერ დანაშაულის ჩადენა შეერაცხება შუალობით ამსრულებელს. ფორმალურ-ობიექტური თეორია ცოცხალი იარაღის, როგორც ფაქტობრივი ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციის სტანდარტული ინსტრუმენტია, როგორც ეს ერთპიროვნული ამსრულებლისა თუ თანაამსრულებლობის დროს.

აღსანიშნავია, რომ გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში ამსრულებლის დეფინიცია იმდაგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ ფორმალურ-ობიექტური თეორიისთვის გვერდის ავლა იოლია. „ამსრულებელია პირი, თუ მან ქმედება თვითონ ჩაიდინა ანდა სხვისი

²⁸ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დასახ. ნაშრომი, იქვე; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2013; გვ. 335

საშუალებით განახორციელა“ (25-ე პარაგრაფი, პირველი ნაწილი). როგორც ვხედავთ, დანაშაულის უშუალოდ ჩადენა არ არის სავალდებულო პირის თანაამსრულებლად მიჩნევისთვის. ამსრულებლის ლეგალური დეფინიცია გერმანიაში იძლევა სხვადასხვა თეორიის გამოყენების შესაძლებლობას. მაინც, ზუსტად რა განსხვავებაა დანაშაულის ჩადენასა და დანაშაულის უშუალოდ ჩადენას შორის?²⁹ გერმანიაში ამსრულებლად გვევლინება ყველა ის პირი, ვისი ნებაც განზრახი დანაშაულის ჩადენისას მიმართულია იქითკენ, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინოს, როგორც საკუთარი.³⁰ ხოლო საქართველოში შეზღუდული საკანონმდებლო განმარტებიდან გამომდინარე, ამსრულებელმა ქმედების ობიექტური შემადგენლობა უშუალოდ უნდა განახორციელოს მართო (ერთპიროვნული ამსრულებელი) ან სხვა პირთან ერთად (თანაამსრულებლობის დროს). მაგალითის მიხედვით, ყაჩაღური თავდასხმის დროს ერთი პირი უშუალოდ ესხმის თავს სახლში მყოფ კაცს, მეორე გარეთ მოშორებით დგას. საქართველოში ეს ქმედება დაკვალიფიცირდება ყაჩაღობაში თანამონაწილეობად, რადგან ერთი პირი უშუალოდ ახორციელებს ქმედების შემადგენლობას - თავდასხმას ბინაში შესვლით, მეორე ჩადის დანაშაულს, თუმცა არ ახორციელებს ქმედების არც ერთ ნიშანს. ამდენად მეორე პირი თანამონაწილეა. გერმანიაში ეს შემთხვევა თანაამსრულებლობად ჩაითვლება, რადგან არ არსებობს დათქმა, უშუალოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელებაზე, ორივე პირი ჩადის დანაშაულს, მაშასადამე ჩაითვლებიან თანაამსრულებლებად.

2.2. მატერიალურ-ობიექტური თეორია

მატერიალურ-ობიექტური თეორია აღმოცენდა გერმანიის სისხლის სამართალში. იგი ამსრულებელსა და თანამონაწილეს ერთმანეთისგან განასხვავებს მათ მიერ დანაშაულის აღსრულებაში შეტანილი წვლილის შესაბამისად. ამ თეორიის მეშვეობით ფართოდაა წარმოდგენილი ამსრულებელთა წრე, რომელიც რამდენიმე ტიპის ამსრულებელს გვთავაზობს. მატერიალურ-ობიექტური თეორიის ყველაზე მნიშვნელოვანი განშტოებაა ქმედებაზე ბატონობის თეორია, რომელიც სისტემატიზებულად პირველად წარმოაჩინა გერმანელმა მეცნიერმა კლაუს როქსინმა. ამ თეორიის მიხედვით,

²⁹ დანვრ. იხ. ნ.თოდუა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო), 2018. გვ. 348-352

³⁰ იქვე.

„ამსრულებელი ცენტრალური ფიგურაა, ... რომელიც „განზრახ მართავს მოვლენათა მსვლელობას და საკუთარი ნებიდან გამომდინარე დანაშაულის განხორციელება ან აღსრულების შეწყვეტა შეუძლია.“³¹ ქმედებაზე ბატონობის თეორიის მიხედვით, ვინრო გაგებით დანაშაულის თანამონაწილეები არიან გვერდითი ფიგურები.³² ეს თეორია ამსრულებელთა ფართო წრით ხასიათდება:

ა) ამსრულებელია ის, ვინც ქმედებას ახორციელებს უშუალოდ. ეს განმარტება ანალოგიურია ფორმალურ-ობიექტური თეორიის ამსრულებლის განმარტებისა;

ბ) შუალობითი ამსრულებელი, რომელიც დანაშაულს არ ჩადის საკუთარი ხელით, მაგრამ იყენებს სხვას დანაშაულის ჩასადენად. ე.ი. შუალობითი ამსრულებელი სხვის ნებაზე ბატონობს³³ (სხვა პირის ბრალუენარობის გამო);

გ) სხვის ნებაზე ბატონობა ცოდნის საშუალებით, როდესაც შეცდენილმა პირმა არ იცის, რომ იყენებენ დანაშაულის ჩასადენად. ამის მაგალთად გამოდგება შემდეგი შემთხვევა: ექიმმა განზრახ შეაცდინა ექთანი და მისცა შხამი პაციენტისთვის გასაკეთებლად. ექთანმა არ იცოდა ამ განზრახვის შესახებ და მისთვის გადაცემული შხამი ჩვეულებრივი სამკურნალო პრეპარატი ეგონა, როგორც ექიმმა უთხრა მოტყუებით. ამ მაგალითში ექთანი არ დაისჯება, ხოლო ექიმს დაეკისრება პასუხისმგებლობა როგორც შუალობით ამსრულებელს.

დ) ქმედებაზე ორგანიზაციულად ბატონობა ამსრულებლობის მორიგი ფორმაა ქმედებაზე ბატონობის თეორიის მიხედვით. ორგანიზაციული ბატონობა მაშინ არის სახეზე, როცა დაჯგუფების ხელმძღვანელი ხელქვეითებს უბრძანებს დანაშაულის ჩადენას და ეს ბრძანება ხელქვეითებისთვის „სავალდებულოა“. ასეთ არაფორმალურ იერარქიას ადგილი აქვს მაშინ, როცა საქმე ეხება მაფიოზურ ორგანიზაციას, არმიას, სანარმოო სტრუქტურებს.³⁴ ხელმძღვანელი უშუალოდ არ ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას, მაგრამ ორგანიზაციულად ბატონობს ხელქვეითების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე. „ზემდგომი პირი მართავს ხელქვეითს და იგი ამიტომაც ამსრულებელია ამსრულებლის უკან“.³⁵ ამდენად, ორგანიზატორი პირი გვევლინება ამსრულებლად იმის გამო, რომ უშუალო ამსრულებლების უკან

³¹ ე. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 146.

³² იქვე.

³³ იქვე.

³⁴ ე. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 147

³⁵ იქვე.

დგას სრულდელიქტუნარიანი პირი, რომელიც პასუხს აგებს ყველა იმ ქმედებისთვის, რომლებიც ხელქვეითებმა ჩაიდინეს მითითების შესაბამისად.

აქვე აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციული ამსრულებლობა ქართულ სისხლის სამართალში ცალსახად უნდა გამოირიცხოს, რადგან სსკ-ის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანაშაულის თანამონაწილე პირის ერთ-ერთი სახე არის ორგანიზატორი, რაც ბლოკავს შესაძლებლობას, რომ ორგანიზატორი მიჩნეულ იქნას ამსრულებლად.

ე) ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობა — თანაამსრულებლად ითვლება ის, ვინც დანაშაულის ჩადენისას გადამწყვეტ როლს ასრულებს, ანუ ის, ვინც დანაშაულის მსვლელობას განსაზღვრავს.³⁶ გარეშე პირი დანაშაულის ჩადენასთან ფუნქციებით უნდა იყოს დაკავშირებული, თუმცა აუცილებელი არ არის დანაშაულის ადგილზე ყოფნა. ფუნქციონალური თეორია აფართოებს თანაამსრულებელთა წრეს.

როგორც ჩანს, ქმედებაზე ბატონობის თეორია უფრო მრავალმხრივია, ვიდრე სუბიექტური და ფორმალურ-ობიექტური თეორიები ერთად აღებული.³⁷ ქმედებაზე ბატონობის ქვეშ იგი აერთიანებს რამდენიმე სახის ამსრულებელს, რომლებიც სხვადასხვაგვარად არიან დაკავშირებული დანაშაულის აღსრულებასთან. ქმედებაზე ბატონობა ამსრულებლად, სუბიექტური თეორიისგან განსხვავებით, მიიჩნევს პირს, რომლის ქმედება მიმართულია დანაშაულის ჩადენისაკენ. ასევე, ქმედებაზე ბატონობის თეორიას აქვს პრეტენზია, დაძლიოს ის ვინაო არეალი, რომელიც გააჩნია ფორმალურ-ობიექტურ თეორიას, რომლის მოთხოვნაა, ამსრულებელმა პირადად განახორციელოს დანაშაულის ყველა ელემენტი.³⁸

შეჯამების სახით რომ ვთქვათ, „ამსრულებელი არის ის, ვინც, როგორც ცენტრალური ფიგურა, ქმედების შემადგენლობის განხორციელებას მისი სურვილისამებრ მართავს, ხოლო თანამონაწილეა ის პირი, ვინც როგორც „გვერდზე მდგომი“ ფიგურა ქმედების შემადგენლობის განხორციელებისკენ უბიძგებს ამსრულებელს ან ხელს უწყობს მას.“³⁹

³⁶ ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, დასახ. ნაშრომი, იქვე, გვ 147; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2013, გვ. 336.

³⁷ Chicago Journal of International Law; The Control Theory of Perpetration in International Criminal Law; 6-1-2011; page 165.

³⁸ Chicago Journal of International Law; The Control Theory of Perpetration in International Criminal Law; 6-1-2011; page 165.

³⁹ გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 3/2016, გვ. 29.

ამდენად, ქმედებაზე ბატონობის თეორიის მიხედვით, ამსრულებელი არის ყველა ის პირი, რომლებიც ქმედებაზე ბატონობას ახდენს „გეგმურ-მმართველობითი ან თანამფორმირებლობით, რის შედეგადაც, საკუთარი ნების მიხედვით, ქმედების შემადგენლობის განხორციელების პროცესის შეჩერების ან გაგრძელების უნარი შესწევს“.⁴⁰ ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ქმედება, რომელიც დაკავშირებულია და ჩადენილია დანაშაულის განხორციელების მომენტში, იგივე თანაამსრულებლობაა.⁴¹ მაგალითად, წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც ძირითადი ამსრულებელი ჩადის დანაშაულს და სხვა პირი ძირითადი ამსრულებლისგან ახლომდებარე მანძილზე ან თუნდაც მოშორებულ ტერიტორიაზე იმყოფება და მას დახმარებას უწევს დანაშაულის ჩადენის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ სხვა პირი უშუალოდ არ ახორციელებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას, ისიც (თანა)ამსრულებელია.

ამ თეორიის შეუსაბამობა ქართულ სისხლის სამართლის კოდექსთან ნათელია. როგორც უკვე ითქვა, ამსრულებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დაკავშირებულია ქმედების უშუალოდ განხორციელებასთან. როგორც ამ თავის ფარგლებში უკვე ითქვა, დანაშაულის უშუალოდ ჩადენა ნიშნავს ქმედების ობიექტური შემადგენლობის უშუალოდ ერთი ან რამდენიმე პირის მიერ განხორციელებას. ამსრულებლად არ უნდა ჩაითვალოს პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედებს, მაგრამ შეხება არ აქვს შემადგენლობის განხორციელებასთან. ქურდობის დროს დარაჯად დგომის მაგალითი რომ გავიხსენოთ, სადარაჯოზე დგომა ან დაბრკოლებების მოცილება უშუალო ამსრულებლისათვის ქმედების ჩადენის გაადვილების მიზნით, არ უნდა შეფასდეს (თანა)ამსრულებლობად.⁴² დანაშაულის ჩადენის მომენტში დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული ქმედება არსებითად მხოლოდ დაბრკოლების აცილებას ნიშნავს, რაც სხვა არათვრია, თუ არა დახმარება უშუალო ამსრულებლისათვის.

ო. გამყრელიძე ქმედებაზე ბატონობის მომენტს უვარგის კრიტერიუმად მიიჩნევს თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის გასამიჯნად.⁴³ ავტორის მიხედვით, ქმედებაზე ბატონობის ნიშნის უვარგისობა ყველაზე კარგად იგრძნობა საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებში. მაგალითად,

⁴⁰ ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, რედ. ი. დვალაძე; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, 2010; გვ. 290

⁴¹ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 135.

⁴² თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 135

⁴³ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა; 1974; გვ. 39.

დეზერტირობის ჩადენა შეუძლია სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეს, ხოლო ამ დანაშაულში ნებისმიერი დახმარება, თუნდაც ქმედებაზე ბატონობდეს დამხმარე პირი, არ მოგვცემს თანამსრულებლობას. ე.ი. დეზერტირობას ჩადენს მხოლოდ ის პირი, ვისაც ამის ჩადენა შეუძლია და ამ ქმედებაში ნებისმიერი ფაქტობრივი ხასიათის დახმარება სამართლებრივად შეფასდება ვინრო გაგებით თანამონაწილეობად, კერძოდ დახმარებად. თუმცა ეს შემთხვევა ფორმალურ-ობიექტური თეორიის ფარგლებში გადანყვეტასაც ექვემდებარება და უფრო სწორი იქნება ქმედების ამ თეორიით კვალიფიცირება, რადგან ქართველი კანონმდებელი იზიარებს მას. წინამდებარე მაგალითში შეუძლებელია თანამსრულებლობა, რადგან საკუთარი ხელით შესასრულებელ დელიქტს ასრულებს მხოლოდ ის, ვისაც მისი ჩადენა შეუძლია.

ასევე ჩვენთან პრობლემურია ქმედებაზე ორგანიზაციული ბატონობა, როგორც ამსრულებლის ერთ-ერთი ფორმა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმის სახით პირდაპირაა გათვალისწინებული ორგანიზატორის ინსტიტუტი, რომელიც საფუძველს აცლის ქმედებაზე ორგანიზაციულ ბატონობას, როგორც ამსრულებლის ერთ სახეს (სსკ-ის 24-ე მუხლი, 1-ლი ნაწ.). ამდენად, ის, ვინც ორგანიზებას უწევს დანაშაულს, სრულად შეიმუშავებს დანაშაულის ჩადენის გეგმას და გაანაწილებს როლებს დანაშაულის უშუალოდ ჩამდენ პირებს შორის, იქნება ორგანიზატორი, როგორც დანაშაულის თანამონაწილე და არა ამსრულებელი.

გერმანიაში ქედებაზე ბატონობის თეორიის მხარდაჭერა განაპირობა იმანაც, რომ ორგანიზატორი, როგორც თანამონაწილეობის ფორმა, არ არსებობს, ხოლო პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად აუცილებელია ორგანიზატორი გადაიქცეს დანაშაულის ამსრულებლად.

დაბოლოს, ქმედებაზე ბატონობა ძალზედ ფართო ცნებაა. ქმედებაზე ბატონობად შეიძლება ჩაითვალოს ყველა ის ქმედება, რაც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, ურომლისოდაც დანაშაული ვერ იქნებოდა ჩადენილი. მაგრამ სად არის ზღვარი თანამონაწილესა (დამხმარე) და ამსრულებლის ფიგურებს შორის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მატერიალურ-ობიექტური თეორიის ფარგლებში ძნელია, რადგან თითქმის ყოველ შემთხვევაში შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ყველა „გვერდითი“ პირი ამსრულებელია.

საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკა ქმედებაზე ბატონობის თეორიით პირის თანაამსრულებლობად კვალიფიკაციის თაობაზე.⁴⁴ საქმის გარემოებებით დადგენილია, რომ პეტრეს (განაჩენში არსებული სახელები შეცვლილია პირობითი სახელებით) სურდა ბანკზე ყაჩაღური თავდასხმა თანხის დაუფლების მიზნით. აღნიშნული დანაშაულებრივი განზრახვა მან გაანდო მეგობარ პავლეს, რომელმაც დაამზადა ყალბი პლასტიკური ბარათი ბანკში შეღწევის მიზნით და გადასცა პეტრეს. გარდა ამისა, პავლე დაეხმარა პეტრეს დანაშაულის იარღის შეტანაში, რაც განხორციელდა ქმედების უშუალოდ განხორციელებამდე. ამდენად, პავლეს ფუნქცია ამოიწერა ბარათის გადაცემითა და წინასწარ დანაშაულის იარაღისა და საგნის (იარაღი, ნიღაბი, ხელთათამნები და ა.შ.) ბანკში განთავსებით. პეტრემ დამოუკიდებლად განხორციელა ბანკში უკანონო შეღწევა ყალბი პლასტიკური ბარათით და ასევე თავდასხმა ბანკის დაცვის თანამშრომელზე.

სასამართლომ პეტრეს ქმედება მართებულად დააკვალიფიცირა ყაჩაღობის ამსრულებლობად. გარდა ამისა, სასამართლომ პავლეს ქმედებაც მიიჩნია (თანა)ამსრულებლობად შემდეგ გარემოებათა გამო: „მართალია თანაამსრულებლობის ამგვარი (იგულისხმება პავლეს ქმედება) ფორმულირება არ ჯდება ამსრულებლის ტიპურ ცნებაში, [...] მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში სიტყვა „უშუალოდ“ (სსკ-ის 22-ე მუხლი) განმარტებულ უნდა იქნას განვრცობილად და მასში უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო ის პირი, რომელმაც მოახდინა იარაღის დემონსტრირება და განახორციელა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობრივი ქმედება, ... ასევე ის პირიც, რომელიც მასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა (და) ამ გზით მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს.“ სასამართლომ განავითარა ის აზრი, რომ აუცილებელი არ არის დანაშაულის ადგილზე ყოფნა, არამედ დისტანციურად განეული დახმარება, რომელიც ჩაითვალა „აქტიურ მონაწილეობად“ ქმედების განხორციელებაში, არის თანაამსრულებლობა. სავარაუდოა, რომ ეს მოცემულობა თეორიულად შესატყვისია ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობისა, რომელიც მატერიალურ-ობიექტური თეორიის შემადგენელი ნაწილია.

სასამართლოს მსჯელობა არსებითად მცდარია, რადგან პავლეს ყაჩაღობის შემადგენლობის განხორციელებაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია. მეტიც, დანაშაულის ჩადენის მომენტში შემთხვევის ადგილთან ახლოსაც

⁴⁴ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის განაჩენი N1/4026-15.

კი არ იმყოფებოდა. სასამართლოს სიტყვები — „აქტიურად მონაწილეობდა და ამ გზით ეუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს“ — არის დაუსაბუთებელი. რაში გამოიხატა აქტიური მონაწილეობა პასუხგაუცემელია. დაუშვებელია სხვისი ნივთის დაუფლებად დაკვალიფიცირდეს ქმედება, რომელიც ამოიწურა დანაშაულის უშუალოდ ჩადენამდე და ისიც გამოიხატებოდა მხოლოდ იმით, რომ ამსრულებელს წინასწარ გადაეცა დანაშაულის ჩასადენად საჭირო ინვენტარი. პავლეს არც ერთი ნიშანი არ განუხორციელებია ყაჩაღობის. ცალკე, დამოუკიდებლად რომ შევაფასოთ პავლეს ქმედება, არც ერთი გონიერი ადამიანის თვალში ის არ იქნება პირი, რომელიც ახორციელებს ყაჩაღურ თავდასხმას ან ეუფლება სხვის მოძრავ ნივთს. საშუალებებისა და იარაღის გადაცემა ამსრულებლისთვის წარმოადგენს დახმარებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (სსკ-ის 24-ე მუხ. მე-3 ნაწ.). ამდენად, სასამართლომ ხელოვნურად დაამძიმა ქმედება და დახმარების მაგივრად ჯგუფური ყაჩაღობა შეურაცხა ბრალდებულს.

3. მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნა, როგორც ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის კრიტერიუმი

დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ინსტიტუტების ანალიზის საფუძველზე თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საკითხის გადანყვეტა წარმოადგენს ნოვაციას ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში.⁴⁵

საკითხის გადასანყვეტად მნიშვნელოვანია გავერკვეთ, არის თუ არა დანაშაულის მომზადება მისი ობიექტური შემადგენლობის განხორციელების საწყისი?⁴⁶ ამ საკითხის გადანყვეტას აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ამა თუ იმ დანაშაულის ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყება არის საზღვარი ერთი მხრივ დანაშაულის მომზადებასა და მეორე მხრივ - მცდელობას შორის. თუკი ერთ-ერთი პირის მიერ ობიექტურად

⁴⁵ ამასთან დაკავშირებით დანვრ. იხ. ნ. თოდუა; სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები); სახელმძღვანელო იურისტებისთვის; თბ.; 2015; გვ. 28-76; ნ. თოდუა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო), 2018. გვ. 335-346.

⁴⁶ ნ. თოდუა; სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები); სახელმძღვანელო იურისტებისთვის; თბ.; 2015; გვ. 30.

განხორციელებული ქმედება არ გადაკვეთს დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას შორის არსებულ ზღვარს და დარჩება მომზადების სტადიაზე, იგი არ ჩაითვლება თანაამსრულებლად, რადგან მას ქმედების შემადგენლობის არც ერთი ნიშანი არ განუხორციელებია; ხოლო თუკი პირის ქმედება დანაშაულის მცდელობით დაკვალიფიცირდება, მაშინ ითვლება, რომ ის ახორციელებს ქმედების შემადგენლობას და იგი (თანა)ამსრულებელია. ამდენად, დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნასთან მიმართებით მნიშვნელოვანია არსებობდეს ერთიანი პოზიცია, რაც ხელს შეუწყობს თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საკითხის გადანყვეტას.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ავტორთა უმეტესობა დღესდღეობით თვლის, რომ დანაშაულის მომზადება არ არის ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყება. „მომზადების სტადიაზე პირს ჯერ კიდევ არ დაუწყია დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება.“⁴⁷ მომზადება არის დანაშაულის ჩასადენად იარაღის ან საშუალების გამონახვა ან მომარჯვება, შესაბამის მდგომარეობაში მოყვანა, რათა შესაძლებელი გახდეს დანაშაულის ჩადენა. მომზადება თავისი არსით არის ისეთი ქმედება, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს ან აადვილებს დანაშაულის ჩადენას, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება.⁴⁸ სამართლებრივი სიკეთისთვის არ არის შექმნილი იმნუთიერი საფრთხე, რადგან მომზადების დროს პირს ჯერ არ აქვს დაწყებული ქმედების ობიექტური შემადგენლობის რომელიმე ნიშნის განხორციელება. ხოლო დაუმთავრებელი მცდელობის დროს უკვე დაწყებულია ქმედების შემადგენლობის განხორციელება, რაც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისთვის იმნუთიერ საფრთხეს წარმოადგენს. მცდელობის სტადიაზე ქმედება უშუალოდ არის მიმართული დანაშაულის ჩასადენად; დროსა და სივრცეში მსხვერპლისა და ამსრულებლის სფეროები ერთმანეთს ეხება და შედეგის დადგომის იმნუთიერი საშიშროება დგას. ამდენად, დანაშაულის მცდელობა ცალსახად წარმოადგენს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას.

დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნასა და ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საკითხის გადანყვეტას შორის

⁴⁷ მ. ტურავა; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013; გვ. 301.

⁴⁸ ნ.თოდუა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო), 2018. გვ. 336.

ლოგიკური კავშირის არსებობას უფრო ნათლად ადასტურებს რამდენიმე ქრესტომათიული მაგალითი:

1. პეტრე და პავლე მიუახლოვდნენ ბინას. პეტრემ ბინას მიაღკა კიბე, ხოლო პავლე შეიპარა ბინაში გაქურდვის მიზნით. ამ შემთხვევაში ამსრულებელი იქნება პავლე, რადგან მან განახორციელა ქურდობის ობიექტური შემადგენლობა, კერძოდ ბინაში შეღწევა უკვე ქურდობის მაკვალიფიცირებელი ნიშანია და შეღწევის მომენტიდან მან დაიწყო ქურდობის მცდელობა, ამდენად იგი ამსრულებელია. ხოლო პეტრემ, რომელმაც მხოლოდ კიბე მიაღკა ბინას, მხოლოდ პირობები შექმნა ქურდობის ჩასადენად.⁴⁹ ამდენად, პეტრეს ქმედება დამოუკიდებლად რომ შევაფასოთ, მომზადების სტადია იქნება. ამ მაგალითში პეტრე არის ქურდობის დამხმარე (სსკ-ის 25-ე და 177-ე მუხ.).

2. პირველი მაგალითი შევცვალოთ შემდეგნაირად: ორივე პირი შევიდა ბინაში, მხოლოდ პეტრემ მოაგროვა ნივთები, ხოლო პავლეს ხელი არ უხლია ნივთებისთვის, მხოლოდ გვერდით ედგა პეტრეს. აქ ჩადენილია ქურდობა თანაამსრულებლობით, რადგან „ქურდობის მიზნით ბინაში შეღწევა არის ქურდობის არა მომზადება, არამედ მისი მცდელობა, რადგან სხვის ქონებრივ უფლებას უშუალო საფრთხე ექმნება.“⁵⁰ გარდა ამისა, განხორციელებულია ობიექტური შემადგენლობა (მაკვალიფიცირებელი ქურდობა) — ქურდობა ბინაში შეღწევით (სსკ-ის 177-ე მუხ. მე-3 ნაწ. „გ“ პუნქტი).

მკვლელობის შემთხვევაში საკითხი სხვაგვარადაა. მაგალითად, მკვლელობის მიზნით ბინაში შესვლა ორი პირის მიერ არ გვაძლევს მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების სტადიას, შესაბამისად არც მცდელობას. ორი პირიდა თუნდაც ერთმა განახორციელოს გასროლა (მკვლელობა), ხოლო მეორე მათგანი გვერდით იდგეს, მაინც არ იქნება თანაამსრულებლობა, რადგან მკვლელობის ობიექტური შემადგენლობა შეუძლებელია გამოიხატოს მხოლოდ და მხოლოდ დგომის ფაქტით. ამ შემთხვევაში ეს იქნება ინტელექტუალური დახმარება, ხოლო ამსრულებელი იქნება ის, ვინც მოახდენს გასროლას.

რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა სხვა ძალადობრივ, მაგრამ შედეგგარეშე (ფორმალურ) დანაშაულებში. მაგალითად ყაჩაღობის დროს ორი

⁴⁹ ნ. თოდუა; სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები); სახელმძღვანელო იურისტებისთვის; თბ.; 2015; გვ. 34.; ნ. თოდუა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო), 2018. გვ. 339-340

⁵⁰ ნ. თოდუა; სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები); სახელმძღვანელო იურისტებისთვის; თბ.; 2015; გვ. 35.

პირიდან ერთ-ერთის მიერ იარაღის დემონსტრირება და მეორე პირის ჩუმად გვერდით დგომა ჩაითვლება თანაამსრულებლობად, რადგან ორივე მათგანი ახორციელებს ყაჩაღობის შემადგენლობას, მაშასადამე არც ერთი მარგანი არ არის მომზადების სტადიაზე (ყაჩაღობას მცდელობა არ გააჩნია, ამიტომ თავდასხმის მომენტიდან იგი დამთავრებულია: სსკ-ის 179-ე მუხლი). პირველი მათგანი თავს ესხმის იარაღის გამოყენებით მსხვერპლს, ხოლო მეორე მათგანი კონკლუდენტური მოქმედებით ახორციელებს ძალადობის მუქარას.⁵¹ ორივე შემთხვევა არის ყაჩაღობის შემადგენლობაში გათვალისწინებული, ამდენად აქ სახეზეა ჯგუფური ყაჩაღობა.

ზოგადად, შემთხვევის ადგილზე ყოფნა თანაამსრულებლობის ერთ-ერთი წინაპირობაა, მაგრამ არაა საკმარისი. ხოლო ამ საკითხს (დანაშაულის ადგილზე სხვა პირის ყოფნას) დიფერენცირებული მიდგომა სჭირდება ფორმალურ და მატერიალურ დანაშაულებში.⁵²

ზემოთ მოყვანილი მაგალითები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაკვალიფიცირდებოდა თანაამსრულებლობად, რადგან გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის მომზადება როგორც დასჯადი სტადია, გათვალისწინებული საერთოდ არ არის. ამდენად, მომზადების ის შემთხვევები, რომლებიც საქართველოში დაისჯება როგორც დანაშაულის მომზადება, გერმანიაში მათი კვალიფიკაცია მოხდება დანაშაულის მცდელობად. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მომზადების ინსტიტუტის არარსებობა იწვევს მცდელობის სტადიის გაფართოებას. შესაბამისად, ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითში თითოეული პირი დანაშაულის მცდელობის სტადიაზე იმყოფება, ე.ი. მათ დაწყებული აქვთ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, მაშინაც კი, როდესაც ქურდობის ჩადენის დროს გარეთ დგას ან მკვლელობის დროს გვერდით უდგას იმ ამსრულებელს, რომელმაც განახორციელა გასროლა.

ამდენად, თუკი ერთი პირის ქმედებაში სახეზეა დანაშაულის მომზადება, რომელიც ნიშნავს იმას, რომ დანაშაულის ჩასადენად პირობებია შექმნილი (ან ასეთ პროცესს აქვს ადგილი), დამოუკიდებლად იმ პირისაგან, ვინც ახორციელებს ობიექტურ შემადგენლობას, საქმე გვაქვს დანაშაულში თანამონაწილეობასთან (ვიწრო გაგებით). რასაკვირველია, კვალიფიკაცია არ

⁵¹ ნ. თოდუა; სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები); სახელმძღვანელო იურისტებისთვის; თბ.; 2015; გვ. 35.

⁵² იქვე, გვ. 38.; ნ. თოდუა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო), 2018. გვ. 339-342.

მოხდება მომზადების მუხლზე მითითებით; მომზადება მხოლოდ ინდიკატორია იმისა, რათა დავადგინოთ, დანყებულია თუ არა ობიექტური შემადგენლობა პირის მიერ განხორციელებულ ქმედებებში, ე.ი. არის თუ არა იგი თანაამსრულებელი. ხოლო მეორე მხრივ, თუკი პირის ქმედებაში სახეზეა მცდელობა, ე.ი. მანაც გადალახა მომზადების სტადია და შეუდგა ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას იმ პირთან ერთად, რომელმაც ასევე დაიწყო ქმედების აღსრულება, საქმე გვაქვს თანაამსრულებლობასთან, ე.ი. ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულთან (ასეთი მაკვალიფიცირებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში).

III. დანაშაულის ამსრულებლობის სახეები

1. უშუალო ამსრულებელი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი ამსრულებლის სამ ძირითად სახეს იცნობს: ერთპიროვნული ამსრულებლობა; თანაამსრულებლობა; შუალობითი ამსრულებლობა.

ერთპიროვნული ანუ უშუალო ამსრულებლობა ნიშნავს იმას, რომ პირმა უშუალოდ განახორციელა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანი. მაგალითად, დამნაშავე მარტო ესხმის თავს დაზარალებულს ნივთის დაუფლების მიზნით; ან დამნაშავე მარტო უყრის საწამლავს სხვა ადამიანს მოკვდინების მიზნით და ა.შ.

უშუალო ამსრულებელი მატერიალური სისხლის სამართლის ცენტრალური ფიგურაა. თითქმის ყველა დანაშაულის საკანონმდებლო კონსტრუქცია აგებულია ერთპიროვნულ ამსრულებელზე. უშუალო ამსრულებელს დამოუკიდებლად შეუძლია დანაშაულის ჩადენა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის გარეშე.

რასთან გვაქვს საქმე, როდესაც უშუალო ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების შემდეგ ხდება ფიზიკური საგნის ან ბუნებრივი მოლვენის ჩართვა შედეგის დადგომამდე? მაგალითად, ერთმა პირმა ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანების მიზნით მეორე პირს დააღვეინა საწამლავი. შედეგის დადგომამდე მსხვერპლმა ცხოველის თავდასხმის შედეგად მიიღო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება. „წმინდა ფიზიკური თვალსაზრისით თუ მივუდგებით, აქ ადამიანის მოქმედება გაშუალოებულია ცხოველის მოქმედებით, მაგრამ აქ ქმედების შემადგენლობას (ჯანმრთელობის მძიმე

დაზიანება) მაინც ერთი ადამიანი ასრულებს და ის უშუალო ამსრულებელია.“⁵³ ე.ი. უშუალო ამსრულებლად კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ბუნებრივი მოვლენები ქმედების ჩადენიდან შედეგის დადგომამდე, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ კვალიფიკაცია მოხდეს დაუმთავრებელი დანაშაულით, მაგალითად მაშინ, როცა ქმედების ჩადენის შემდეგ შედეგი არ დგება მაშინვე, ხოლო მოვლენები ატიპურად განვითარდება. თუმცა ეს გავლენას არ ახდენს უშუალო ამსრულებლობაზე. მაგრამ ქართულ ლიტერატურაში მოიპოვება შემთხვევა, როცა ასეთ მაგალითს შუალობით ამსრულებლობად აკვალიფიცირებდნენ.⁵⁴

იურიდიულ ლიტერატურაში შესაძლებელია გამოიყოს უშუალო ამსრულებლის ორი სახე: პირველი — ერთპიროვნული ამსრულებლობა (დანაშაულის მართო ჩადენა); მეორე — როდესაც დანაშაულს თანამონაწილენი ჩადიან (ვინაშე გაგებით თანამონაწილეობა), თუმცა სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს მაინც ერთი ადამიანი ახორციელებს.⁵⁵ მაგალითად, ერთმა პირმა მოაწყობა დანაშაულის ჩადენა, გამონახა დანაშაულის ჩასადენად იარაღი, დასახა გეგმა, გასცა მითითება მეორე პირის მიმართ, ხოლო მეორე პირმა უშუალოდ განახორციელა სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედება. აქ სახეგა ორი პირი, რომელთაგან პირველი წარმოადგენს ორგანიზატორს (თანამონაწილე - 25-ე მ. შესაბამის დანაშაულზე მითითებით), ხოლო მეორე პირი — ამსრულებელს.

უშუალო ამსრულებლობა, როგორც წესი, რაიმე სახის სირთულეს არ წარმოშობს დოგმატიკასა თუ პრაქტიკაში და მისი კვალიფიკაცია მარტივია. ამდენად, როდესაც პირმა ერთპიროვნულად განახორციელა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანი ან თუნდაც ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნაწილი მაინც განახორციელა საკუთარი ხელებითა და გონებით, სახეგა უშუალო ამსრულებლობა.

აქვე, შესაძლებელია პასუხი გაეცეს კითხვას, ამსრულებლის რომელ ცნებას იზიარებს ქართველი კანონმდებელი; განვრცობით (ექსტენსიურ) თუ შემზღუდვით (რესტრიქციულ) ცნებას. „ამსრულებლის ექსტენსიური ცნება დაკავშირებულია ერთიანი ამსრულებლობის კონცეფციასა და მიზგზობრიობის ეკვივალენტურ თეორიასთან.“⁵⁶ ესე იგი, ექსტენსიური ცნების მიხედვით, ყველა

⁵³ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ. 2013; გვ. 260.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები; 2011; გვ. 142.

ის პირია ამსრულებელი, რომლებიც შედეგთან მიზემობრივბადაა დაკავშირებული. ხოლო რესტრიქციული ცნების მიხედვით, ამსრულებელი მხოლოდ ისაა, ვინც ქმედების შემადგენლობის ნიშნები თავად განახორციელა, ხოლო წამქეზებელი და დამხმარე ის პირები არიან, რომლებსაც ქმედების შემადგენლობა თავად არ განუხორციელებიათ, თუმცა სხვაგვარად იყვნენ დაკავშირებული დანაშაულის ჩადენასთან.⁵⁷ ამდენად, ამსრულებლის პირველი სახის დახასიათებისას ვარკვევთ, რომ ქართული სისხლის სამართლის კოდექსი ამსრულებლის რესტრიქციულ ცნებაზეა აგებული.

2. თანამსრულებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, ამსრულებლის მეორე სახეა თანამსრულებლობა. თანამსრულებელია პირი, რომელიც სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში. ამდენად, „თანამსრულებლობა იგივე ამსრულებლობაა.“⁵⁸

დანაშაულში თანამონაწილეობა ფართო გაგებით მოიაზრებს თანამსრულებლობასაც. თანამსრულებლობის დროს დანაშაულის ცალკეულ მონაწილეებს შორის არ ხდება როლების გადანაწილება,⁵⁹ არამედ ისინი მეტ-ნაკლები ჩართულობით თანაბრად აღასრულებენ დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას. ორი ან მეტი პირის უშუალო და ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში ნიშნავს იმას, რომ თითოეული მათგანი უშუალოდ ახორციელებს დანაშაულის ერთსა და იმავე შემადგენლობას.⁶⁰

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც თანამსრულებლობას დახმარებაში ურევნ ხოლმე, რაც ხშირად გამოწვეულია იმით, რომ თანამსრულებელში არასწორად მოიაზრებენ იმას, რომ თანამსრულებელმა ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშანი უნდა განახორციელოს, რაც არ არის მართებული. თანამსრულებელი მოქმედებს სხვა (თანა)ამსრულებელთან ერთად, რაც ნიშნავს იმას, რომ თითოეულმა მათგანმა ქმედების შემადგენლობის თუნდაც წერტი ნაწილი რომ განახორციელოს, ჩაითვლებიან თანამსრულებლებად.

⁵⁷ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები; 2011; გვ. 144.

⁵⁸ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ. 2013; გვ. 261.

⁵⁹ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა; თბ. 1974; გვ. 108

⁶⁰ იქვე, გვ. 109

თანაამსრულებლობა შესაძლებელია დანაშაულის დამთავრებამდე, ანუ მაშინაც კი, როდესაც ერთპიროვნულმა ამსრულებელმა დაიწყო ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, მაგალითად, დაიწყო სხვისი ნივთის აშკარა დაუფლება (ძარცვა, მაგალითად ხელჩანთის წართმევა), რა დროსაც მას ძალა არ ეყო და საშველად მოუხმო თავის მეგობარს, რომელიც იქვე იდგა წინასწარ შეთანხმებისამებრ და საჭიროების შემთხვევაში აქტიურად დაეხმარებოდა ქმედების ჩამდენს. მეორე პირიც შეუერთდა ხელჩანთის წართმევის მცდელობას და ასე მოხერხდა სხვისი ნივთის დაუფლება. სახეზეა თანაამსრულებლობა, რადგან თითოეულმა მათგანმა განახორციელა ძარცვის ობიექტური შემადგენლობის ნიშნები (შესაძლებელია სახეზე იყოს ძარცვის კვალიფიციური შემადგენლობა - ძალადობა, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის - სსკ-ის 178-ე მ. მე-3 ნაწ. „დ“ პუნქტი).

თანაამსრულებლობის საკითხი შესაძლებელია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის დამთავრება ერთი აქტით არ ხდება.⁶¹ მაგალითად, მკვლელობაში თანაამსრულებლობა შესაძლებელია მაშინაც კი, როდესაც ერთმა პირმა დააღვეინა საწამლავი მსხვერპლს, ხოლო მეორე პირმა პირველთან შეთანხმებისამებრ თავადაც დააღვეინა საწამლავი მსხვერპლს. რასაკვირველია, მსხვერპლი მეორე აქტის განხორციელების დროს ცოცხალი უნდა იყოს, ანუ სასიკვდილო შედეგი არ უნდა იყოს დამდგარი პირველი აქტის ჩადენის შემდეგ. ამ კაზუსში თანაამსრულებლობა გვაქვს სახეზე, რადგან მკვლელობის შემადგენლობა განხორციელდა წინასწარ შეთანხმებით, ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით, დამოუკიდებელი ორი აქტით, რომელთა ავტორები არიან თანაამსრულებლები. ისინი მსხვერპლის სასმელში საწამლავის ჩაყრით ახორციელებენ მკვლელობას და სასიკვდილო შედეგი დგება. ეს შემთხვევა უნდა გაიმიჯნოს იმ შემთხვევისგან, როდესაც სახეზეა ალტერნატიული მიზეზობრიობის შემთხვევა, როდესაც დამნაშავეებმა არ იციან ერთმანეთის განზრახვის შესახებ და საწამლავს ცალ-ცალკე აღვეინებენ მსხვერპლს.⁶² თუკი თითოეულის დოზა საკმარისია სიკვდილისთვის, აქ სახეზე იქნება არა თანაამსრულებლობა (ჯგუფური მკვლელობა, 109-ე მუხ.), არამედ მარტივი მკვლელობა (სსკ-ის 108 მუხლი) თითოეული პირის მიერ განხორციელებული.

⁶¹ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა; თბ. 1974; გვ. 115

⁶² ამ საკითხზე დანვრით იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2013; გვ. 100.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მიზნით დეტერმინირებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, როცა ერთ პირს ამოძრავებს მიზანი, ხოლო მეორეს — არა? შესაძლებელია თუ არა ასეთ დროს თანაამსრულებლობა თუ სახეზეა მხოლოდ თანამონაწილეობა ვინრო გაგებით (დახმარება)? მაგალითად, გამიზნითი დელიქტია ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით (სსკ-ის 177-ე მუხლი). დაუშვათ, ერთ პირს ამოძრავებს მისაკუთრების მიზანი და მეორე პირს არა, ხოლო ორივე მათგანი ფარულად შეიპარა სხვის ბინაში და ეუფლებიან სხვის ნივთებს. ამ შემთხვევაში, პირს, რომელსაც არ ამოძრავებს საკუთარი თავისთვის მითვისების მიზანი, ეხმარება მხოლოდ იმას, ვისაც აქვს ეს მიზანი. არსებობს მოსაზრება, რომ აქ სახეზეა ქურდობაში დახმარება და არა თანაამსრულებლობა, რადგან „გამიზნითი დელიქტების თანაამსრულებელია მხოლოდ ის, ვინც ამ სპეციალური მიზნით მოქმედებს.⁶³ ასე ფიქრობს ზოგიერთი დასავლეთგერმანელი კრიმინალისტი და განმარტავს, რომ ვინც სპეციალური მიზნით არ მოქმედებს, არის დამხმარე.⁶⁴ თუმცა საკუთრების ამგვარი გადაწყვეტა სხვა არაფერია, თუ არა თანამონაწილეობის სუბიექტური თეორიის აღიარება, როდესაც საბოლოო შედეგით დაინტერესება აქვს მხოლოდ იმას, ვისაც დანაშაულის მიზანი ამოძრავებს. „საბოლოო შედეგით დაინტერესება არ არის ამსრულებლობის ნიშანი“,⁶⁵ ამდენად, თანაამსრულებელი იქნება ის პირი, ვისაც არ აქვს სპეციალური მიზანი, თუმცა სხვასთან ერთად ახორციელებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას (ამ შემთხვევაში, სხვასთან ერთად ბინაში შესვლა, ნივთების მოძებნა და ა.შ.). ამ შემთხვევის გადაწყვეტის განსხვავებული ვერსიის მიხედვით, თუ საქმე შეეხება ისეთ დელიქტს, სადაც მიზანი ქმედების ნიშანია, მაშინ ის შეერაცხება ყველა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს, ვისაც ეს მიზანი არ ამოძრავებდა.⁶⁶ ქურდობა სუბიექტური ნიშნით დაფუძნებული დელიქტია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისაკუთრების მიზნის გარეშე ქურდობა საერთოდ არ არსებობს. მისაკუთრების ნიშანი წარმოადგენს ქმედების ნიშანს, მაშასადამე, ამ მიზნის შეცნობის შემთხვევაში თანაამსრულებლის ან თანამონაწილის პასუხისმგებლობა საფუძვლით დასაბუთებადია, თუ მათ ეს მიზანი საკუთარი თავისთვის არ ამოძრავებდათ, მაგრამ შეცნობილი ჰქონდათ. თანამონაწილე ან თანაამსრულებელი სწორედ

⁶³ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა; თბ. 1974; გვ. 120.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ იხ. დანვრ. იხ. ნ. თოდუა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო), 2018. გვ. 355-457

ამ მიზნის რეალიზებაში ეხმარება იმ ამსრულებელს, რომელსაც გააჩნია ასეთი მიზანი.

როგორია თანაამსრულებლობის საკითხი უმოქმედობის დროს?
კერძოდ, განვიხილოთ როგორც წმინდა უმოქმედობის, ასევე შერეული უმოქმედობის დროს თანაამსრულებლობის შესაძლებლობა. ქართულ სისხლის სამართალში გამოითქვა მოსაზრება, რომ თანაამსრულებლობა შესაძლებელია როგორც წმინდა, ისე შერეული უმოქმედობის დროსაც.⁶⁷ თ. წერეთელი მიიჩნევდა, რომ უმოქმედობით თანაამსრულებლობა შესაძლებელია ყველა იმ დანაშაულში, რომელიც მოვალეობის შეუსრულებლობაში გამოიხატება. თუმცა, ამ მოსაზრებას მეტი დასაბუთება სჭირდება, რაც არ არის წარმოდგენილი თ. წერეთლის დასახელებულ ნაშრომში.

სხვა ავტორის მოსაზრების თანახმად, წმინდა უმოქმედობის დელიქტებში თანაამსრულებლობა გამორიცხულია.⁶⁸ წმინდა უმოქმედობის დელიქტია, მაგალითად, დაუხმარებლობა (სსკ-ის 129-ე მუხლი) ან ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება (სსკ-ის 176-ე მუხლი). ამ დელიქტებს წმინდა უმოქმედობის დელიქტები იმიტომ ეწოდება, რომ მათი ჩადენა მხოლოდ და მხოლოდ უმოქმედობით არის შესაძლებელი. წმინდა უმოქმედობის ჩადენა გულისხმობს მოვალეობის შეუსრულებლობას, რომელიც პერსონალურად ამა თუ იმ პირს აკისრია. „მოვალეობის პერსონალური ხასიათი წმინდა უმოქმედობის დროს დელიქტის ბუნების განმსაზღვრელი ნიშანია.⁶⁹ შესაბამისად, ასეთი მოვალეობის სხვა პირზე გადაკისრება არ შეიძლება. მოვალეობის შესრულება პერსონალურად იმ პირს ეკისრება, ვისაც აქვს ასეთი მოვალეობა. ამდენად, თანაამსრულებლობა შეუძლებელია წმინდა უმოქმედობის დროს. შესაბამისი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პასუხისმგებლობა დამოუკიდებლად უნდა დადგეს თითოეული პირისთვის. თუმცა ამ აზრის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ მოვალეობა პერსონალურია როგორც წმინდა, ასევე შერეული უმოქმედობის დროს.⁷⁰ მაგალითად, სამი პირი ტივით გადაადგილდება ტბაზე. ერთი ჩავარდება წყალში, ხოლო დანარჩენი ორი არ მიეშველება მას გადასარჩენად. აქ სახეზე

⁶⁷ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 141.

⁶⁸ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა; თბ. 1974; გვ. 122-123.

⁶⁹ იქვე გვ. 122.

⁷⁰ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 162.

ერთი ვერსიით იქნება დაუხმარებლობა თანაამსრულებლობით (სსკ-ის 129-ე მუხლი), ხოლო მეორე ვერსიით პარალელური ამსრულებლობა დაუხმარებლობისა.

რაც შეეხება თანაამსრულებლობას შერეული უმოქმედობის დროს, აქ ძირითადად დოგმატიკაში ავტორები თანხმდებიან თანაამსრულებლობაზე. მაგალითად, დედ-მამა, რომლებსაც აკისრია საერთო შვილის მიმართ ზრუნვის ვალდებულება, შეთანხმდებიან ჩვილის მოკვლაზე და მას არ მისცემენ საზრდოს შიმშილობით სიკვდილის მიზნით. ორივე მათგანი — დედა და მამა იჩენენ უმოქმედობას, რისი შედეგიც არის შვილის სიკვდილი. სახეზეა თანაამსრულებლობა უმოქმედობით.

შერეული უმოქმედობის დროს თანაამსრულებლობის არსებობა-არარსებობის შესახებ სხვაგვარ გადანყვეტას გვთავაზობს პროფ. ნ. თოდუა.⁷¹ ზოგადად, თანაამსრულებლობა გულისხმობს იმას, რომ თითოეულ ამსრულებელს თავისი წვლილი შეაქვს სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის უშუალოდ შექმნაში, „რის გამოც იქმნება ობიექტური პირობა საფრთხის ხარისხის ამაღლებისთვის, [...] რასაც ადგილი არ აქვს უმოქმედობისას.“⁷² ამას ადგილი აქვს მოქმედებით ჩადენილ დანაშაულში (თანაამსრულებლობის დროს). ხოლო უმოქმედობის შემთხვევაში საფრთხის ხარისხი უცვლელი რჩება. დედ-მამის მიერ უმოქმედობით ჩადენილი ჩვილი ბავშვის მკვლელობის მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, ჩვილის სიკვდილი შიმშილმა გამოიწვია საკვების მიუღებლობის გამო. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი სამართლებრივი გარანტი ჰყავდა ბავშვს. მათი რაოდენობა გავლენას ვერ იქონიებს შიმშილის ხარისხზე. თითოეულის ქმედება ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს, რადგან თითოეული მათგანი საკმარისი იყო შედეგის დასადგომად. ასევე არაფერი იცვლება იმით, რომ მშობლები წინასწარ შეთანხმდნენ ბავშვის მოკვლაზე. ამას მნიშვნელობა მაშინ ექნებოდა, როდესაც ისინი მკვლელობას მოქმედებით განახორციელებდნენ. ამდენად, ამ მაგალითში სახეზეა პარალელური ამსრულებლობა.

შერეული უმოქმედობის დროს თანაამსრულებლობის დასაშვებობის მოხმრე ავტორების მიხედვით, სრულებითაც არ არის აუცილებელი, რომ შერეული უმოქმედობის დროს ორივე პირი უმოქმედობით ჩადიდეს

⁷¹ იხ. დანვრ. ნ. თოდუა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო), 2018. გვ. 367-372.

⁷² ნ. თოდუა, დასახ. ნაშრომი, იქვე.

დანაშაულს. მაგალითად, დედამ შესაძლოა შვილის დახრჩობა გადაწყვიტოს და ჩააგდოს აბაზანაში, რაც იქნება აქტიური მოქმედება, ხოლო ამ ამბის შემსწრე მამა უმოქმედობით ჩადიოდეს მკვლელობას, როდესაც არაფერს აკეთებს შვილის გადასარჩენად. აქ სახეზეა თანაამსრულებლობა. ასევე, სრულებითაც არ არის აუცილებელი, რომ შეთანხმება მკვლელობაზე წინასწარ იყოს მოცემული.⁷³ მაგალითად, დედამ დამოუკიდებლად გადაწყვიტა შვილის მოკვლა აქტიური მოქმედებით (დახრჩობით), რასაც დაერთო მამის უმოქმედობა წინასწარი შეთანხმების გარეშე. მაშინაც კი, როცა აქტიური მოქმედება ჩადენილია ერთპიროვნულად, ვინმესთან შეთანხმების გარეშე და ამის შემდეგ მას დაერთვის სხვა პირის უმოქმედობა, ვინც ვალდებული იყო ემოქმედა შედეგის თავიდან ასაცილებლად, საქმე გვაქვს თანაამსრულებლობასთან.⁷⁴ კონკრეტულად ამ შემთხვევაში სახეზეა ე.წ. *თანმიმდევრული თანაამსრულებლობა*, ესე იგი, ისეთი თანაამსრულებლობა, როდესაც მოვლენათა ჯაჭვში პირველი აქტის შედეგ შეთანხმების გარეშე ერთვის სხვა პირის ქმედება.⁷⁵

თანაამსრულებლობის დროს არ მოქმედებს ე.წ. აქცესორობის თეორია, ესე იგი, ვინრო გაგებით თანამონაწილეების მოქმედების კვალიფიკაციის დამოკიდებულება ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაციაზე, არამედ მოქმედებს თანაამსრულებელთა მიერ ჩადენილ ქმედებათა *ურთიერთშერაცხვის პრინციპი*.⁷⁶ მაგალითად, თუ ერთმა თანაამსრულებელმა მკვლელობის დროს ხელები დაუკავა დაზარალებულს, ხოლო მეორემ დანა დაარტყა გულ-მკერდის არეში და ამის გამო დადგა სასიკვდილო შედეგი, თანაამსრულებლებს მთლიანი ქმედება შეერაცხებათ, „თითქოს ყველაფერი თავად ჩაედინოთ.⁷⁷ ამ მაგალითში ფორმალურ-ობიექტური თეორიით თანაამსრულებლობის დასაბუთება ძალზედ მარტივია: თითოეული პირის ქმედების დამოუკიდებლად შეფასების შემთხვევაში მივიღებთ სურათს, რომ ცალკე აღებული ერთი პირის მიერ მსხვერპლისთვის ხელების დაკავება მკვლელობის მიზნით წარმოადგენს მკვლელობის მცდელობის სტადიას, რადგან განხორციელებულია ძალადობითი დელიქტის (მკვლელობა) ნიშანი -

⁷³ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა; თბ. 1974; 124.

⁷⁴ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა; თბ. 1974; 124.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 160.

⁷⁷ იქვე.

ძალადობა, რაც გამოიხატა მსხვერპლისთვის თავდასხმასა და ხელების დაკავებაში. ეს ქმედება უშუალოდ არის მიმართული მკვლელობის ჩადენისაკენ, რაც მკვლელობის მცდელობის სტადიად შეფასდება. მაშასადამე არ არის პრობლემა თანაამსრულებლობად მიჩნეულ იქნას ზემოთმოყვანილი ორი პირის მიერ განხორციელებული ქმედებები - დანის დარტყმა ერთ შემთხვევაში და ხელების დაკავება მეორე შემთხვევაში. ორივე მათგანი ასრულებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას.⁷⁸

ერთიერთშერაცხვის პრინციპი არ ნიშნავს იმას, რომ ცალსახად კოდექსის ერთი და იგივე მუხლით დაისჯებიან თანაამსრულებლები. მაგალითად, სსკ-ის 112-ე მუხლის ამსრულებელია დედა, რომელიც ახალშობილის განზრახ მკვლელობაში დაისჯება, ხოლო მამა, რომელიც დედასთან ერთად ჩაიდენს ამ დანაშაულს (თანაამსრულებელი), პასუხს აგებს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწ. „ბ“ პუნქტით. აქ სახეზეა ერთიან უმართლობაში (მკვლელობა) თანაამსრულებლობა.

როგორც წესი, უშუალო ამსრულებელი და თანაამსრულებელი სისხლის სამართლის კოდექსის ერთსა და იმავე მუხლშია მოაზრებული. დამატებით მითითება 22-ე მუხლზე კვალიფიკაციის დროს არ არის საჭირო.

თანაამსრულებლობის საკითხის გადანყვეტა მარტივია ე.წ. დურატიული დელიქტების დროს, ანუ ისეთი დანაშაულების დროს, როდესაც ქმედების ჩადენა ხანგრძლივი დროით ხასიათდება.⁷⁹ ასეთი დელიქტები პრაქტიკულად იგივეა, რაც დენადი დანაშაულები. მაგალითად, ასეთი დელიქტია თავისუფლების უკანონო აღკვეთა. მასში თანაამსრულებლობა შესაძლებელია თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფორმალურად დამთავრების მომენტიდანაც, როდესაც ერთმა პირმა თავისუფლება აღუკვეთა მსხვერპლს, ხოლო მეორე პირი ამის შემდგომ ჩაერთო ქმედების შესრულებაში და მაგალითად სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყო თავისუფლებააღკვეთილი პირის გადაყვანა სხვა ტერიტორიაზე პირველ ამსრულებელთან შეთანხმებით.

ე.წ. იტერატიულ დელიქტებშიც მარტივადაა შესაძლებელი თანაამსრულებლობის კვალიფიკაცია, როდესაც ერთმა პირმა დაიწყო დანაშაულის ჩადენა და მეორე პირი მიუერთდა პირველი პირის ქმედებას და

⁷⁸ იხ. დანვრ. ნ. თოდუა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო), 2018. გვ. 346

⁷⁹ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 169.

ამდენად სახეზეა ქმედების შემადგენლობის განმეორებადი შესრულება.⁸⁰ შეერთებული პირი ქმედების შემადგენლობას თავად ახორციელებს. მაგალითად, ერთმა პირმა დაიწყო ძალადობა დაზარალებულზე, რასაც შეუერთდა მოძალადის მეგობარიც. აქ სახეზეა კონკლუდენტური თანხმობა ერთად ძალადობაზე. თითოეულ მათგანი ახორციელებს სსკ-ის 126-ე მუხლის (ძალადობა) ობიექტურ შემადგენლობას.

3. შუალობითი ამსრულებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, ამსრულებლის მესამე სახეს წარმოადგენს შუალობითი ამსრულებლობა. შუალობითი ამსრულებელია ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

შუალობითი ამსრულებლობა კონსტრუქციის თვალსაზრისით ჰგავს წამქეზებლობას, როდესაც ერთი პირი იყოლიებს სხვა პირს დანაშაულის ჩასადენად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში წაქეზებული და წამქეზებელიც სრულდელიქტუნარიანი პირები არიან, განსხვავებით შუალობითი ამსრულებლობისაგან, სადაც მხოლოდ შუალობითი ამსრულებელი არის სრულდელიქტუნარიანი პირი, ხოლო მას, ვინც ქმედებას უშუალოდ ახორციელებს, სამართლებრივი ნაკლის გამო არ ეკისრება პასუხისმგებლობა.

როგორც აღინიშნა, შუალობითი ამსრულებლობა არ წარმოადგენს თანამონაწილეობის შემთხვევას. დამნაშავე დანაშაულის ჩასადენად იყენებს სხვა ადამიანს, როგორც იარაღს, რომელიც მას ბრმად ემორჩილება.⁸¹ დანაშაულის ფიზიკურ შემსრულებლად გამოდის პირი, ანუ ბრმა იარაღი, რომელიც საერთოდ არ დაისჯება ან შესაძლოა, პასუხს აგებდეს გაუფრთხილებლობითი დელიქტისთვის, ხოლო დანაშაულის ნამდვილ, პასუხისმგებელ ამსრულებლად გვევლინება თვით დამნაშავე — შუალობითი ამსრულებელი. მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 22-ე მუხლის რედაქცია ამბობს, რომ შუალობითი ამსრულებლობისას ფიზიკურ ამსრულებელს (ცოცხალ იარაღი) არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ეს არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს ცოცხალი იარაღი საერთოდ არ დაისჯება. მან

⁸⁰ იქვე, გვ. 170.

⁸¹ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 119.

შესაძლოა პასუხი აგოს გაუფრთხილებლობითი დელიქტისათვის. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არდაკისრება ფიზიკური ამსრულებლისთვის ნიშნავს იმას, რომ მას არ შეერაცხება ბრალად ის უმართლობა, რომელსაც მისი მეშვეობით შუალობით ამსრულებელი ჩადის და რომელიც სწორედ იმ განზრახვი დანაშაულისთვის დაისჯება, რაც ცოცხალ იარაღს აღასრულებინა. ეს მიზანი იკითხება 22-ე მუხლის რედაქციაში, რადგან ძირითადი აზრის მიხედვით შუალობითი ამსრულებლობის დროს ცოცხალი იარაღი ბრალუენარო პირია და ამიტომ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, მაგრამ თუკი ის სრულდელიქტუნარიანი პირი აღმოჩნდება და ამავედროულად წინდახედულობის ნორმას დაარღვევს, მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაბამისი გაუფრთხილებლობითი დანაშაულით უნდა დადგეს. თუმცა 22-ე მუხლის რედაქცია გამართულად ვერ ჩაითვლება, რადგან პირდაპირაა მოხსენიებული, რომ გამოყენებულ პირს, ანუ ცოცხალ იარაღს არ ეკისრება პასუხისმგებლობა.

ზოგიერთი უცხოელი მეცნიერი მიიჩნევს, რომ შუალობითი ამსრულებლობა სავსებით გაძევებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის სფეროდან და თანამონაწილეობის ცნებაში გაითქვიფოს.⁸² ამის მიზეზად სახელდება ის, რომ შუალობითი ამსრულებლობა სამართლისთვის უცხო კონსტრუქციაა; იგი წარმოადგენს ამსრულებლის ცნების ხელოვნურ გაფართოებას და დიდ მეთოდურ შეცდომას.⁸³ ამგვარი მიდგომა ცალსახად არასწორია, რადგან „ცოცხალი იარაღის“ გამოყენება თავისი არსით უთანაბრდება უშუალო ასრულებას იმ პირის მიერ, ვინც ბოროტად იყენებს ამ „ცოცხალ იარაღს“.⁸⁴ დაუსაბუთებელი იქნება ის, რომ შუალობითი ამსრულებლობა გავეუთანაბროთ ვინაშე გაგებით თანამონაწილეობას, რადგან შუალობითი ამსრულებლობის დროს ფიზიკურად დანაშაულის ჩამდენი პირი ამსრულებელი ვერ იქნება თავისი თვისებებიდან გამომდინარე; „ის, ვისაც იარაღად იყენებენ, არ შეიძლება იყოს ამსრულებელი და, რადგანაც არ გვყავს ამსრულებელი, არ არის არც თანამონაწილეობა.“⁸⁵

⁸² თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 120.

⁸³ იქვე.

⁸⁴ იქვე, გვ. 121.

⁸⁵ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა; თბ. 1974; გვ. 53.

ობიექტური მხრივ შუალობითი ამსრულებლობა მხოლოდ წამქეზებლობით არ გამოიხატება. სავსებით შესაძლებელია, რომ შუალობითი ამსრულებელი დახმარებას ახორციელებდეს. „შუალობითი ამსრულებლობა არ წარმოადგენს წამქეზებლობის სუროგატს, არამედ სავსებით დამოუკიდებელი მოვლენაა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ისეთ მოქმედებებში, რომლებიც ემსგავსებიან როგორც წამქეზებლობას, ისე დახმარებას.“⁸⁶ მაგალითად, პირი აქეზებს 13 წლის ბავშვს მალაზიის ქურდობის ჩასადენად და ამავდროულად გადასცემს მას მორგებულ გასაღებს. გასაღების გადაცემა ცალკე აღებული შეფასდებოდა, როგორც დახმარება.

როგორც წესი, შუალობითი ამსრულებლობის დროს სახეზეა რამდენიმე პირი: 1) შუალობითი ამსრულებელი; 2) დანაშაულის ფიზიკურად ჩამდენი პირი; 3) დაზარალებული. ყურადღება შევაჩეროთ პირზე, რომელიც უშუალოდ ჩადის ქმედების შემადგენლობას, ანუ პირზე, რომელიც წარმოადგენს ცოცხალ იარაღს შუალობითი ამსრულებლის ხელში.

კონკრეტულად, რატომ შეიძლება არ აგებდეს პასუხს ცოცხალი იარაღი? როგორც ამას სსკ-ის 22-ე მუხლი განმარტავს, ასაკის გამო პასუხისმგებლობა არ დაეკისრება უშუალო ამსრულებელს. აქ იგულისხმება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის არმქონე პირი, ესე იგი, 14 წელს მიუღწეველი ფიზიკური პირი. როგორც ცნობილია, საქართველოში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იწყება 14 წლის ასაკიდან. სსკ-ის 33-ე მუხლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი. ამდენად, როდესაც სრულდელიქტუნარიანი პირი წააქეზებს 13 წლის ან უფრო ნაკლები ასაკის მქონე ბავშვს დანაშაულის ჩასადენად, პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ შუალობით ამსრულებელს, ხოლო შესაბამისი ასაკის მიუღწევლობის გამო ბავშვი საერთოდ არ აგებს სისხლის სამართლის წესით პასუხს.

მეორე მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლი იძლევა ბრალის გამორიცხვის ალტერნატიულ შემთხვევას: მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გავცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან

⁸⁶ იქვე, გვ 54.

მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის. ამ შემთხვევაშიც პასუხი მარტივია, რადგან ცოცხალი იარაღის ნება იმდენად დათრგუნულია, რომ იგი ბრმა ამსრულებელია სხვა ადამიანის ხელში. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა საერთოდ არ უნდა დაეკისროს ფსიქიკური შეურაცხაობის გამო დანაშაულის უშუალოდ ჩამდენს.

საინტერესოა შემთხვევა, როდესაც ცოცხალი იარაღი შესაბამისი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული და სრულად შერაცხადი პირია. თუმცა, შესაბამისი ნების არ ქონა გამორიცხავს მის პასუხისმგებლობას. ასეთ მაგალითად შეიძლება დასახელდეს რაიმე ზიანის მიყენება ფიზიკური ძალადობის ზეგავლენით: ვინმე ჩაუდებს ხელში ცეცხლსასროლ იარაღს სხვა პირს და ხელს მოუჭერს მის თითს, რომელიც ჩახმახზეა დადებული, რათა განხორციელდეს გასროლა და მოკვდეს სამიზნე.⁸⁷ ამ შემთხვევაში, ცოცხალი იარაღი საკუთარი ნებით არ მოქმედებს, რადგან შუალობითი ამსრულებელი მის მიმართ ფიზიკურ ძალას იყენებს.⁸⁸ ამ შემთხვევას ეწოდება *vis absoluta*, ანუ დაუძლეველი ძალა, რომელიც ართმევს პირს შესაძლებლობას, კონტროლი გაუწიოს თავის ქმედებას. ლიტერატურაში გამოთქმულია ასევე ვერსია ჰიპნოზის მდგომარეობის შესახებ, რომელიც თრგუნავს პირის ნებას, რის გამოც მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა.⁸⁹ თუმცა დაჰიპნოზების სამედიცინო თვალსაზრისით დამტკიცება და შემდგომ ამის მტკიცებულების სახით გამოყენება სისხლის სამართალწარმოების პროცესში ძალიან რთულია. სწორედ ამიტომ, ლიტერატურაში მხოლოდ მოსაზრებაა წარმოთქმული ჰიპნოზის მდგომარეობაში ქმედების ჩადენის შესახებ, ხოლო პრაქტიკული მაგალითი არ სახელდება. ერთი სიტყვით, დაუძლეველი ძალის მდგომარეობაში პირს არ შეუძლია ქმედების საკუთარი სურვილისამებრ წარმართვა, ხოლო პასუხისმგებელი პირი იქნება ის, ვინც ჩაადენინა ამ პირს დანაშაულებრივი ქმედება.

ასევე, საინტერესოა შემთხვევა, როდესაც პირი სხვის ნებაზე ცოდნის საშუალებით „ბატონობს“. მაგალითად, ექიმმა განზრახ შეაცდინა ექთანი და მიაწოდა შხამიანი ნემსი პაციენტისთვის გასაკეთებლად მისი მოკვდინების მიზნით. ექთანმა არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რომ ნემსი შხამიანი იყო. სითხე, რომელსაც ყოველდღე უკეთებდა პაციენტს, იგივე შეფერილობისა იყო, რაც ექიმმა მიაწოდა. ექთნის მიერ გაკეთებული ნემსით პაციენტი

⁸⁷ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 121.

⁸⁸ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრისი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 176.

⁸⁹ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 176; თ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

გარდაიცვალა. აქ ექთანს, როგორც ცოცხალ იარაღს, არ გააჩნია პაციენტის მოკვლის ნება, არც ცოდნა. იგი პასუხს არ აგებს მკველობისათვის. მართალია, შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს რომელიმე გაუფრთხილებლობითი დელიქტისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მაგრამ არა იმ უმართლობისთვის, რაც ექიმმა განახორციელა. აქ შუალობითი ამსრულებელია ექიმი.

შუალობით ამსრულებლობასთან გვაქვს საქმე მაშინაც, როცა შუალობითი ამსრულებელი ცოცხალი იარაღის შეცდომას თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებს.⁹⁰ მაგალითად, პირი იმყოფება მოჩვენებითი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, რაც შეცნობილი აქვს მეგობარ პავლეს. პავლე თავდამსხმელში საკუთარ მტერს შეიცნობს და მის მეგობარს, რომელიც შეცდომით ფიქრობს, რომ მოგერიების მდგომარეობაშია, იარაღს მიანვდის. იგი იყენებს იარაღს და კლავს მოჩვენებით თავდამსხმელს. შესაძლებელია ქმედების ჩამდენს (იარაღის გამოყენებით პირის სიცოცხლის მოსპობა) დაეკისროს პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის ან საერთოდ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ხოლო იარაღის მიმწოდებელი პავლე არის შუალობითი ამსრულებელი მკვლელობისა (სსკ-ის 108-ე მუხლი).

ნებისმიერ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ისეთი ცოცხალი იარაღი რომელსაც ბრალი გამოერიცხება რომელიმე გარემოებით ასაკის ან ფსიქიკური შეურაცხაობის გამო, სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულების გამო ან თუნდაც ზეკანონური ბრალის გამომრიცხავი გარემოების გამო, სახეზეა შუალობითი ამსრულებლობა.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როდესაც ცოცხალი იარაღი გამოყენებულია არა მესამე პირის წინააღმდეგ, არამედ საკუთარი თავის წინააღმდეგ? მაგალითად, პეტრემ შეაგულიანა შეურაცხადი პირი თავის მოსაკლავად და გადასცა იარაღი. შეურაცხადმა პირმა მართლაც მოიკლა თავი. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს არ არის შუალობითი ამსრულებლობა, რადგან მინიმუმ სამი პირი არ გვყავს სახეზე: შუალობითი ამსრულებელი, ცოცხალი იარაღი და მესამე პირი.⁹¹ დაზარალებული პირისა და ცოცხალი იარაღის ერთ პიროვნებაში შერწყმა არ უნდა იყოს პრობლემა შუალობით ამსრულებლობის კვალიფიკაციისთვის. შუალობითი

⁹⁰ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანამაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 178.

⁹¹ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, შენიშვნა, გვ. 123.

ამსრულებელი იყენებს ისეთ პირს, ვისაც არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების ხასიათი, რაც არ უნდა შეფასდეს ნამქმვებლობად ან დახმარებად.⁹²

შესაძლებელია თუ არა შუალობითი ამსრულებლობის ჩადენა გაუფრთხილებლობით? იმის გათვალისწინებით, რომ შუალობით ამსრულებელს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ დანაშაულის ჩასადენად იყენებს ისეთ პირს, რომელსაც არ აქვს დანაშაულის ჩადენის ნება და ვერ აცნობიერებს ქმედების მნიშვნელობას და იგი უბრალოდ შუალობითი ამსრულებლის ნების გამტარებელია, მაშინ უნდა ითქვას, რომ გაუფრთხილებლობით მისი ჩადენა შეუძლებელია.⁹³

რა ხდება მაშინ, როდესაც შუალობით ამსრულებელს ჰგონია, რომ აქვებს 13 წლის პირს დანაშაულის ჩასადენად, სინამდვილეში ცდება და ნაქმვებული პირი 15 წლისაა. ამ კაზუსის გადასაჭრელად სუბიექტური და ობიექტური თოერიები განსხვავებულ ვერსიებს გვთავაზობს. სუბიექტურად თუ მივუდგებით, პირს ეგონა, რომ დანაშაულის ჩასადენად იყენებდა არაბრალებულ პიროვნებას, მაშინ იგი შუალობითი ამსრულებელია. ობიექტურად თუ ავხსნით, რეალურად სახეზე იყო სისხლისსამართლებრივი მიზნებისთვის დელიქტუნარიანი პირი, რაც ნიშნავს იმას, რომ მასაც ეკისრება პასუხისმგებლობა. ობიექტურად აქ განხორციელდა ნაქმვება შესაბამისი დანაშაულის ჩასადენად. ესე იგი საქმე გვაქვს ვინრო გაგებით თანამონაწილეობასთან. 15 წლის პირი ჩვეულებრივ აგებს პასუხს. ეს ახსნა სწორია ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, რადგანაც უკვე აღინიშნა, რომ ჩვენი კანონმდებელი აღიარებს ამსრულებლის ობიექტურ თეორიას. სუბიექტური თეორიის გაზიარების შემთხვევაში გამოვა, რომ სახეზე გვეყოლება ორი ამსრულებელი.⁹⁴ ერთი ის ვინც თავისი ხელით ჩადენს დანაშაულს, ხოლო მეორე - შუალობითი ამსრულებელი. სსკ-ის 22-ე მუხლის მიხედვით, შუალობითი ამსრულებელი ცოცხალ იარაღად უნდა იყენებდეს ისეთ პირს, რომელსაც არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამავე უმართლობისთვის, რაც დაეკისრება შუალობით ამსრულებელს. 15 წლის პირი ობიექტურად წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს

⁹² იქვე, გვ. 123.

⁹³ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა; თბ. 1974; გვ. 56.

⁹⁴ გ. ნაჭყებია, ნ.თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო), 2018. გვ. 310.

მიღწეულ პირს. სსკ-ის 22-ე მუხლის რედაქცია, როგორც უკვე პირველ თავში ითქვა, ამსრულებლის არც ერთ სახეში სუბიექტურ თეორიას არ აღიარებს.

საინტერესოა, როგორ უნდა გადაწყდეს შემთხვევა, როდესაც შუალობითი ამსრულებლობის დროს დანაშაულის უშუალო განმახორციელებელი (ცოცხალი იარაღი) ჩაიდენს შეცდომას? შეერაცხება თუ არა შეცდომა შუალობით ამსრულებელს? მაგალითად, პეტრემ დაავალა არაბრალეულ პავლეს ივანეს მოკვლა. პავლემ განახორციელა გასროლა ივანეს მიმართულებით, თუმცა მას აცდა ტყვია, რომელიც შემთხვევით მოხვდა ვასოს. ერთი ვერსიით, შუალობითი ამსრულებელი უნდა დაისაჯოს მხოლოდ ვასოს მკვლელობისთვის. მეორე ვერსიით, შუალობით ამსრულებელს პავლეს ქმედება შეერაცხება როგორც *aberatio ictus*, ანუ მკვლელობის მცდელობას დამატებული გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა. საკითხის გადასაწყვეტად უფრო სწორი უნდა იყოს შუალედური მიდგომა, რომლის თანახმადაც, თუ შუალობით ამსრულებელმა დაუკონკრეტა მსხვერპლი და მაინც შეეშალა, სახეზეა *error in persona*, ესე იგი, შეცდომა პიროვნებაში, რაც არ შეცვლის კვალიფიკაციას, ხოლო თუ დაკონკრეტებული არ იყო მსხვერპლი, მაშინ *aberatio ictus*-თან გვაქვს საქმე.

გერმანიის სასამართლო პრაქტიკიდან შუალობითი ამსრულებლობის თემატიკაზე საინტერესოა ერთი შემთხვევის განხილვა, რომელსაც ეწოდება „სირიუსის საქმე“.⁹⁵ საქმეში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა შუალობითი ამსრულებლის მიერ ჩადენილი დასჯადი მკვლელობის გამიჯვნა „თვითმკვლელობაში თანამონაწილეობისაგან“, რაც გერმანიის კანონმდებლობით დასჯადი არაა, რადგან არ არსებობს თვითმკვლელობა, როგორც დანაშაული, ხოლო მასში დახმარებაც არ ისჯება. საბოლოო გადაწყვეტილება გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ 1983 წელს გამოიტანა. საქმის ფაბულა შემდეგია: კაცმა მასზე ფსიქიკურად დამოკიდებული ქალი დაარწმუნა, რომ იგი პლანეტა სირიუსიდანაა და მას შეუძლია ახალი და უფრო მაღალი რანგის არსებად გადაქცევასა და პლანეტა სირიუსზე გამგზავრებაში სხვასაც დაეხმაროს. ქალი სირიუსზე გასამგზავრებლად ჯერ სხვა, უფრო ლამაზ სხეულში უნდა გადასახლდეს. ამისთვის მან აბაზანაში ბანაობისას ჩართული ფენი უნდა ჩააგდოს. ქალი „მოჩვენებითი უბედური შემთხვევის“ შემდეგ აწინააღმდეგებდა, ახალ მშვენიერ სხეულში, წითელ ოთახში გაიღვიძებ. ახალი ცხოვრების დასაწყებად მას ფული დასჭირდება, ამიტომ მან

⁹⁵ დაწვრ. იხ. <https://de.wikipedia.org/wiki/Siriusfall>

თავისი სიცოცხლე ნახევარ მილიონ მარკად ამ კაცის სახელზე უნდა დააზღვიოს. ამ ფულს ქალი ახალ პლანეტაზე მიიღებს. ქალს კაცის სჯეროდა, თავი დაიზღვია და ბანაობისას ჩართული ფენიც ჩაიგდო აბაზანაში. ფენი მოშლილი იყო და ქალი არ მოკვდა. კაცი ქალს ტელეფონით რამდენჯერმე ელაპარაკა და მას თავის მოკვლის შესახებ სხვადასხვა მითითებას აძლევდა. შემდეგ კაცმა ამ მოქმედებაზე, როგორც შეუძლებელზე, ხელი აიღო. ქალს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ იგი მოკვდებოდა და თვითმკვლელობას უარყოფდა.

გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ პირი დასაჯა მკვლელობის მცდელობისთვის შუალობითი ამსრულებლობით (შუალობითი ამსრულებლობა - გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე პარაგრაფი, 1-ლი ნაწილის მეორე ალტერნატივა). აღსანიშნავია, რომ გერმანული სისხლის სამართალი შუალობით ამსრულებლობისას ცოცხალ იარაღზე არ აკონკრეტებს, რომ იგი რაიმე სამართლებრივი ნაკლის მქონეა. სხვისი მეშვეობით დანაშაულის ჩადენა განმარტებულია როგორც შუალობით ამსრულებლობად.⁹⁶

სასამართლო სირიუსის საქმეში დაეყრდნო შემდეგ მსჯელობას, რომ ქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია ზემოქმედების სახესა და შეცდომის სიძლიერეზე. თუ პირმა მსხვერპლს დაუშალა, რომ იგი ამგვარად სიცოცხლეს გამოესალმება, მსხვერპლის მიერ თვითმკვლელობის ან თვითმკვლელობის მცდელობისას იგი შუალობითი ამსრულებლობისთვის აგებს პასუხს. მსხვერპლმა არ იცოდა, რომ იგი მართლაც მოკვდებოდა. ის, რომ ქალის ეს წარმოდგენა უჩვეულო იყო და ამავდროულად ფსიქიკურად ავად არ ყოფილა, კაცის ქმედების შეფასებას არ ცვლის. ქალის დარწმუნება, რომ იგი ჯერ სიცოცხლეს გააგრძელებს ახალ პლანეტაზე, კაცს ცოდნის საფუძველზე ქმედებაზე ბატონობას ანიჭებდა. კაცი აკონტროლებდა ქალის გადანყვეტილებას.

IV. ზოგიერთი დანაშაულის ამსრულებლობა და თანამსრულებლობა

1. დანაშაულები, რომელთა ჩადენა ყველას შეუძლია

დანაშაულები, რომელთა ჩადენა ყველას შეუძლია, არის პირობითი სახელწოდება და იგი არ წარმოადგენს რაიმე სპეციალურ ჯგუფს (მაგალითად,

⁹⁶ დანვრ. იხ. ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, რედ. ი. დვალიძე; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, 2010; გვ. 304-312

სპეციალურ დელიქტებს ამსრულებლის სტატუსიდან გამომდინარე). დანაშაულების უმეტესობა სწორედ ისეთია, რომ ნებისმიერ პირს შეუძლია მათი ჩადენა.⁹⁷ ასეთი დანაშაულების აღწერისას კანონმდებელი ჩვეულებრივ განმარტებას არ აკეთებს ამსრულებლის რაიმე თვისებაზე ან სხვა ნიშანზე. ყველას საკუთარი ხელებითა და გონებით შეუძლია ჩაიდინოს მკვლელობა, ქურდობა, თაღლითობა და სხვ. ასეთი დანაშაულების ამსრულებლობა რაიმე სახის პრობლემას არ წარმოადგენს. ასევე არ არის პრობლემური ამ დანაშაულებში თანაამსრულებლობაც, თუკი თანამზრახველი ობიექტურ შემადგენლობას თავადაც ახორციელებს.

2. თანაამსრულებლობა ძალადობით დელიქტებში

ძალადობითი დელიქტების კატეგორიას განეკუთვნება დანაშაულები, როგორებიცაა მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება, ყაჩაღობა, გაუპატიურება და სხვ. ძალადობით ჩასადენ დანაშაულებში დამნაშავე იყენებს ფიზიკურ ან ფსიქიკურ ძალადობას მსხვერპლზე ზემოქმედების მიზნით და ამით აღწევს სასურველ მიზანს. როგორც წესი, უშუალო ამსრულებლის მიერ ძალადობითი დელიქტის ჩადენა არ იწვევს რაიმე სახის პრობლემას თეორიასა თუ პრაქტიკაში.

საინტერესოა, თანაამსრულებლობის საკითხის განხილვა ძალადობითი დანაშაულების ჩადენის დროს. როგორც უკვე აღინიშნა, თანაამსრულებლობა სულ ცოტა გულისხმობს იმას, რომ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ერთ ნაწილი მაინც უნდა განახორციელოს თანაამსრულებელმა. ამისათვის უნდა დადგინდეს, დანაშაულის ჩადენის დროს რა ქმედებები განახორციელეს თითოეულმა მონაწილემ. ისეთ დელიქტებში, რომლებიც მიეკუთვნება ძალადობით ჩასადენ დანაშაულთა კატეგორიას, ანუ ძალადობა შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად არის მიჩნეული, თანაამსრულებლობისთვის საკმარისია, თუ პირმა შემადგენლობის მხოლოდ ეს ნიშანი შეასრულა.⁹⁸ მაგალითად, მკვლელობის დროს ამსრულებელია არა მარტო ის, ვინც დანა დაარტყა მსხვერპლს, რამაც სიკვდილი გამოიწვია, არამედ ის პირიც არის (თანა)ამსრულებელი, ვინც მსხვერპლს აკავებდა, ვიდრე სხვა

⁹⁷ V. Krey, German Criminal Law, General part, Textbook in German and English, 2002; page 157.

⁹⁸ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა; თბ. 1974, გვ. 109.

დანას ურტყამდა.⁹⁹ ხელების დაკავება უკვე წარმოადგენს ძალადობრივ აქტს, რაც ნიშნავს იმას, რომ მკველობის შემადგენლობის ნაწილი განახორციელა ამ პირმა. აღნიშნულის დასაბუთება დამოუკიდებლად თითოეულის ქმედების შეფასების გზით ხორციელდება, რაც უკვე ამ ნაშრომის თარგვლებში განხორციელებულია (იხ. III (2) თანაამსრულებლობა).

სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც ძალადობით ჩასადენ დელიქტებში თანაამსრულებლის მიერ განხორციელებული ძალადობის მიუხედავად პირი უცვნიათ მხოლოდ დამხმარედ.¹⁰⁰ მაგალითად, სამმა პირმა ერთობლივად წააქციეს დაზარალებული და თითოეული მათგანი მოკვლის მიზნით ახორციელებდა სხვადასხვა ქმედებას: პირველი მათგანი ყელში უჭერდა ხელებს, მეორე მათგანი თავში ურტყამდა ქვას, ხოლო მესამე მათგანი ფეხში დანით აყენებდა ჭრილობებს. შემდეგ ამ დანითვე მესამე პირმა გადაუჭრა ვენები, რის გამოც სისხლისგან დაიწალა მსხვერპლი და გარდაიცვალა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მკვლელი არის ის, ვინც დანით მიაყენა ჭრილობები გარდაცვლილს.¹⁰¹ დანარჩენი ორი პირი ჩაითვალა დამხმარეებად მკვლელობაში. ამგვარი კვალიფიკაცია არასწორია, რადგან მკვლელობის, როგორც ძალადობით ჩასადენი დანაშაულის განხორციელების საერთო ნიშანი ძალმომრეობით მოქმედებაში გამოიხატება; „ამდენად ყოველგვარი მონაწილეობა ძალადობაში, რამაც შესაბამისი დანაშაულებრივი შედეგი გამოიწვია, თუნდაც ამ შედეგის უშუალო მიზეზი მხოლოდ ერთი თანაამსრულებლის მოქმედება იყოს, ვერ გადააქცევს დანარჩენ თანამონაწილეებს დამხმარეებად.“¹⁰²

ყურადღებას იმსახურებს გაუპატიურება, როგორც ძალადობითი დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით. გაუპატიურების შემადგენლობა ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებებით ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. პრაქტიკაში არის შემთხვევა, როდესაც გაუპატიურების დროს

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 138-139. ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

¹⁰¹ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა; თბ. 1974, გვ. 109.

¹⁰² თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 138.

მხოლოდ ერთი პირი ახორციელებდეს სქესობრივ აქტს, ხოლო დანარჩენი პირ(ებ)ი მსხვერპლის მიმართ ახორციელებდეს ძალადობას, რათა სქესობრივი აქტის ჩადენა გაადვილდეს.

რასთან გვაქვს საქმე ასეთ დროს, თანაამსრულებლობასთან თუ დახმარებასთან? იმის გათვალისწინებით, რომ გაუპატიურების ქმედების ნიშანი არის ძალადობა, უნდა ჩაითვალოს, რომ მსხვერპლის მიმართ მხოლოდ ძალადობრივი აქტის (ხელ-ფეხის დაკავება ან პირზე ხელის აფარება) განხორციელებაც წარმოადგენს თანაამსრულებლობას. მეტიც, დისპოზიციაში აღწერილია, რომ ძალადობის მუქარაც ქმედების შემადგენლობის ნაწილია, ამიტომ პირი, რომელიც ძალადობით ემუქრება მსხვერპლს, ხოლო მეორე პირი ახდენს სქესობრივ კავშირს, სახეზეა თანაამსრულებლობა, რადგან ორივე მათგანი ახორციელებს გაუპატიურებით გათვალისწინებულ შემადგენლობას.

რაც შეეხება გაუპატიურებას უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, აქ თანაამსრულებლობის დასაბუთება შეუძლებელია. კერძოდ, სსკ-ის 137-ე მუხლის დისპოზიციაში გაუპატიურების მესამე ალტერნატიულ ხერხად მოცემულია დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენება და არა უმწეო მდგომარეობაში მოყვანა, რაც ქმედების ნიშანი არ არის. შესაბამისად, როდესაც ერთი პირი დააძინებს დაზარალებულს, ხოლო მეორე მასთან დაამყარებს სქესობრივ კავშირს, სახეზე არ არის თანაამსრულებლობა.¹⁰³ ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ერთი პირი ახორციელებს ქმედების შემადგენლობას, რაც სქესობრივი აქტის ჩადენაში გამოიხატა, ხოლო მეორე პირი ქმედების არც ერთ ნიშანს არ ახორციელებს, რაც უნდა შეფასდეს დახმარებად.

3. თანაამსრულებლობა სპეციალურ დელიქტებში

სპეციალური დელიქტები ისეთი სახის დელიქტებია, რომლებსაც ესაჭიროება სპეციალური ფუნქციით აღჭურვილი ამსრულებელი. ასეთი ტიპის დანაშაულებში ყველას არ შეუძლია იყოს ამსრულებელი, კანონი მოითხოვს, რომ ამსრულებელს ჰქონდეს სპეციალური სტატუსი (კვალიფიკაცია).¹⁰⁴ ძირითადად ასეთი დანაშაულები არის სამოხელეო თავით (სსკ-ის XXXIX თავი) გათვალისწინებული სუბიექტები. ამდენად, ამ დანაშაულის ამსრულებლები არიან მოხლეები ან მათთან გათანაბრებული პირები; ასევე სამხედრო პირი.

¹⁰³ იხ. დანვრ. ავტორთა ჯგუფი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I); 2016, გვ 214-215.

¹⁰⁴ V. krey, German Criminal Law, General part, Textbook in German and English, 2002; page 157

დასახელებულ დელიქტებში თანაამსრულებლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თანაამსრულებელიც სპეციალური სტატუსის მქონე პირია. მაგალითად, ორი მოხელე წინასწარი შეთანხმებით ბოროტად იყენებს ძალაუფლებას, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს შემადგენლობის წევრებს შორის. „კერძო პირს არ შეუძლია სპეციალური დანაშაულის თანაამსრულებლობა.“¹⁰⁵

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როდესაც არაუფლებამოსილი პირი სპეციალურ სუბიექტთან ერთად ახორციელებს რომელიმე სპეციალური დელიქტის ობიექტური შემადგენლობას? ან არაუფლებამოსილი პირი მოხელის დავალებით ახორციელებს სპეციალური დელიქტის შემადგენლობას? მაგალითად, მოხელემ დაავალა საკუთარ მდივანს ოფიციალურ დოკუმენტში შეეტანა ყალბი ცნობა, რაზედაც მდივანი წინასწარ ინფორმირებული იყო. აქ სახეზეა სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, სამსახურებრივი სიყალბე, ესე იგი, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ოფიციალურ დოკუმენტში ან დავთარში ყალბი ცნობის ან ჩანაწერის შეტანა. მდივანი ვერ იქნება ამ დანაშაულის ამსრულებელი, რადგან მას არ გააჩნია სპეციალური უფლებამოსილება, მიიღოს (შექმნას) ოფიციალური დოკუმენტი (მაგ. ბრძანება). ამ მაგალითში არასპეციალური სუბიექტი (მდივანი) დაისჯება დახმარებისათვის, ხოლო მოხელე, რომელმაც გასცა ასეთი დავალება, არის ამსრულებელი. მოხელის მიერ მიღებული დოკუმენტი ძალაში შედის ამ მოხელის ხელმოწერის შემდეგ, ესე იგი, ეს სუბიექტი თავად ასრულებს ამ დანაშაულს უშუალოდ და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ შეავსო დოკუმენტი მის ხელმოწერამდე.¹⁰⁶

საკითხის ამგვარი გადაწყვეტის ვალდებულება გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-6 ნაწილიდან: ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულის სპეციალური სუბიექტი, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც ორგანიზატორს, წამქეზებელს ან დამხმარეს.

4. საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტები (manu propria)

¹⁰⁵ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა; თბ. 1974, გვ. 118.

¹⁰⁶ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო), 2018, გვ. 311-312

საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტები წააგავს სპეციალური სპეციალური დელიქტების კატეგორიას, თუმცა განსხვავება ის არის, რომ სპეციალურ დელიქტებში უნდა არსებობდეს სპეციალური სუბიექტი. საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტების ბუნება არ მოითხოვს სპეციალური უფლებით აღჭურვილ სუბიექტს, არამედ თვით დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე მხოლოდ ზოგიერთ ამსრულებელს აქვს მისი ჩადენის შესაძლებლობა. კანონი მოითხოვს ფიზიკურ მოქმედებას პერსონალურად იმ ამსრულებლისგან, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ამ დანაშაულის ჩადენისა.¹⁰⁷

მაგალითად, საკუთარი ხელით ჩასადენია ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მიცემა (სსკ-ის 370-ე მუხლი); დებერტირობა (სსკ-ის 389-ე მუხლი). გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ახლო ნათესავებს შორის სექსუალური კავშირისთვის, რასაც ინცესტი ეწოდება (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 173-ე პარაგრაფი). ინცესტის ჩადენა შეუძლიათ მხოლოდ ნათესავებს პირადად, დებერტირობის ჩადენა მხოლოდ იმ პირს შეუძლია, ვისაც აქვს ვალდებულება სამხედრო სამსახურისა. ცრუ ჩვენებას, რასაკვირველია, ჩაიდენს ის, ვინც არის მოწმის სტატუსით აღჭურვილი.

შესაძლებელია თუ არა საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტების თანაამსრულებლობა ან შუალობითი ამსრულებლობა? ასეთი დანაშაულები ერთპიროვნულად სწორედ ამ პირებმა უნდა ჩაიდინონ. მაგალითად, დებერტირობას ვერ ჩაიდენს სხვა პირი, რომელსაც არ ევალება სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა; ამ ქმედებაში აქტიური დახმარება, მაგალითად, მოსამსახურისთან ერთად სხვა პირის გადაადგილება სამხედრო სამსახურიდან თავის დაღწევის მიზნით არ ჩაითვლება დებერტირობის თანაამსრულებლობად. მაგალითად, სამხედრო სავალდებულო მოსამსახურის შვილს მამამ გადაწყვიტა საკუთარი შვილის დახსნა და ლამით სარეზერვო სამსახურში მიაკითხა მას. მამა-შვილმა ჩუმად ერთად დატოვეს ტერიტორია, რათა შვილს თავი აერიდებინა სამსახურისთვის. ამ შემთხვევაში სახეზეა დახმარება დებერტირობაში და არა თანაამსრულებლობა.

რაც შეეხება შუალობით ამსრულებლობის შესაძლებლობას საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებში, აქაც პასუხი უარყოფითია. არ შეიძლება შუალობით სხვა პირმა აღასრულოს დანაშაული, რომელიც დამნაშავემ აუცილებლად საკუთარი ხელით უნდა განახორციელოს.¹⁰⁸ „შუალობითი

¹⁰⁷ V. Krey, German Criminal Law, General part, Textbook in German and English, 2002; page 159.

¹⁰⁸ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 133.

ამსრულებლობის არარსებობა ასეთ შემთხვევაში იმით აიხსნება, რომ ნაკლი დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთ მთავარ ელემენტში — დანაშაულის სუბიექტში შეუძლებელია შევსებულ იქნეს. ნაკლი ატარებს არა ზოგად, არამედ პიროვნულ ხასიათს; მისი გადატანა სხვა პირზე დაუშვებელია.¹⁰⁹

ამდენად, საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ქმედების საკუთარი ხელთ ჩადენას აქვს. იმ შემთხვევაში, როდესაც პირი საკუთარი ხელით, თვითონ არ შეასრულებს ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ ქცევას, მხოლოდ თანამონაწილე შეიძლება იყოს.¹¹⁰

V. დანაშაულში თანამონაწილეობა

1. დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება

თანამონაწილეობის ნორმატიული საფუძველია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლი: დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში. ესე იგი, თანამონაწილეობით დანაშაულის ჩადენა ნიშნავს თითოეული თანამონაწილის მიერ სხვადასხვა ხარისხისა და ხასიათის ქმედების ჩადენას. თანამონაწილის როლები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ნაწილად: ა) თითოეული პირი სჩადის ქმედების ობიექტურ შემადგენლობას; ამდენად აქ იგულისხმება თანაამსრულებლობა. ბ) თანამონაწილე ჩადიოდეს ისეთ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც არ არის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის არც ერთი მუხლის ქმედების ნიშანი, მაგრამ მიმართული იყოს მეორე პირის ქმედების ჩადენისაკენ; სხვაგვარად: იყოს მეორე პირის ქმედების ჩადენის წინაპირობა. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ დანაშაულში თანამონაწილეობას ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით თანამონაწილეობა, რომელსაც მეორენაირად რთულ თანამონაწილეობას უწოდებენ, გულისხმობს როლების დანაწილებას

¹⁰⁹ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 133.

¹¹⁰ ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, რედ. ი. დვალიძე; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, 2010; გვ. 295.

ცალკეულ მონაწილეთა შორის (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე).¹¹¹ ფართო გაგებით თანამონაწილეობა მოიცავს თანაამსრულებლობასაც.

ვინრო გაგებით დანაშაულში თანამონაწილეობა ხშირად ხორციელდება თანამონაწილეების აქტიური მოქმედებებით. ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე თავიანთი ფუნქციების მიხედვით სწორედ აქტიური მოქმედებებით არიან დაკავშირებული ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენასთან. მაგრამ არ არის გამორიცხული უმოქმედობით თანამონაწილეობაც. მაგალითად, მალაზიის დაცვის თანამშრომელს შეუთანხმდა სხვა პირი, რათა შესაფერის დროს ეს დაცვის თანამშრომელი გაცლოდა ტერიტორიას და მომხდარიყო ქურდობა. დაცვის თანამშრომელს არაფერი არ უნდა გაეკეთებინა ობიექტის დასაცავად, რაც წარმოადგენს უმოქმედობას. სახეზეა უმოქმედობით დახმარება ქურდობაში. დაცვის თანამშრომელი არ ახორციელებს ქურდობის შემადგენლობას.

ვინრო გაგებით დანაშაულში თანამონაწილეობის დროს საყურადღებოა ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის საკითხი. თანამონაწილეების ქმედებები დანაშაულებრივ შედეგთან დაკავშირებულია ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით.¹¹² ეს იმიტომ, რომ დანაშაულის შედეგი მხოლოდ და მხოლოდ ამსრულებლის ქმედებითაა გამომწვეული. მიზეზობრივი კავშირის ამ შემთხვევაში განსხვავებულია თითოეული პირის როლის შესაბამისად, მაშინ როდესაც თანაამსრულებლობის დროს დანაშაულებრივ ქმედებასა და შედეგს შორის უშუალო მიზეზობრივი კავშირი არსებობს, რადგან ყველა თანაამსრულებელი ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების მეტ-ნაკლებად თანაბარი ინტენსივობით ხასიათდება.¹¹³

დანაშაულში თანამონაწილეობის დროს სახეზეა ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობა, რაც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს.¹¹⁴ დანაშაულში თანამონაწილე პირები და ასევე ამსრულებელიც ერთიან სისხლისსამართლებრივ უმართლობას ახორციელებენ მაშინაც კი, როდესაც თითოეული პირის ქმედებების კვალიფიკაცია სხვადასხვა მუხლით

¹¹¹ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა; თბ. 1974, გვ. 108.

¹¹² გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო), 2018. გვ. 293

¹¹³ იქვე.

¹¹⁴ იქვე, გვ. 294

ხორციელდება. ეს საკითხი კარგად ჩანს ისეთი დანაშაულის დროს, როგორცაა მკვლელობის უმართლობა. მაგალითად, ერთი პირი უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში და შესაბამისი სხვა პირობების დაცვით (სსკ-ის 111-ე მუხლი) სჩადის მკვლელობას, ხოლო ამ მკვლელობაში სხვა პირის მიერ განეული დახმარება, რომელსაც არ აქვს სულიერი აღელვების მდგომარეობა ან არ აქვს სხვა წინაპირობა, რომელიც აუცილებელია სსკ-ის 111-ე მუხლით დანაშაულის კვალიფიკაციისთვის, ჩაითვლება დახმარებად მარტივ მკვლელობაში (სსკ-ის 108-ე მუხლი), უკეთუ არ არსებობს მკვლელობის დამამძიმებელი რომელიმე გარემოება. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან: პერსონალური ნიშანი, რომელიც ბრალისთვის ანდა ერთ-ერთი ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი, შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილს, რომელსაც იგი ახასიათებს. ზემოთგანხილულ მკვლელობის მაგალითში, სახეზეა „მკვლელობის ტიპური უმართლობა“,¹¹⁵ მაშასადამე, არსებობს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძველი.

სისხლის სამართლის კოდექსი კერძო ნაწილის მუხლები უმეტეს შემთხვევაში ერთპიროვნულ ამსრულებელზეა აგებული. თუმცა, ლიტერატურაში გამოყოფენ აუცილებელი თანამონაწილეობის ფორმებს, როდესაც დანაშაულში აუცილებლად ფიგურირებს თანამონაწილე პირი. არსებობს კონვენციული და თანმხვედრი დელიქტები.¹¹⁶ კონვენციულია დანაშაული, რომლის განხორციელება რამდენიმე ადამიანის ერთობლივი ძალისხმევით ხდება. მაგ. ქრთამის აღება შეუძლებელია ქრთამის მიცემის გარეშე (სსკ-ის 338-ე და 339-ე მუხლები). კონვენციულ დელიქტებში ყველა პირი ამსრულებლობისთვის ისჯება. თანმხვედრი დელიქტების შემთხვევაში, ერთი მათგანი ასრულებს დანაშაულებრივ ქმედებას, ხოლო მეორე მათგანი მსხვერპლის როლშია. მაგ. სსკ-ის 140-ე მუხლით ისჯება სექსუალური ხასიათის შეღწევა თეფესმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში. ამ ქმედების ჩადენა შეუძლებელია 16 წელს ასაკს მიუღწეველი პირის გარეშე. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მსხვერპლი თავად იყო ამ ქმედების ინიციატორი, იგი არ დაისჯება,

¹¹⁵ გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო), 2018. გვ. 294

¹¹⁶ იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 201-202.

რადგან ქმედების შემადგენლობა სწორედ 16 წელს მიუღწეველი პირის დაცვის მიზნითაა შექმნილი. მისი დასჯა ამ ნორმის დაცვის მიზანს ეწინააღმდეგება.¹¹⁷

თანამონაწილეობა სუბიექტური მხრივ მხოლოდ განზრახი მოქმედებაა. თანამონაწილე პირებს ახასიათებთ მიზნის ერთიანობა. გამორიცხული არ არის თანამონაწილეთა და ამსრულებლის ქმედებებში მოტივთა სხვადასხვაობა, თუკი ეს მოტივი არ არის ამ დანაშაულის დამაფუძნებელი ნიშანი.¹¹⁸ ყველა თანამონაწილე ერთიანი განზრახვით უნდა მოქმედებდეს. მიზნით დეტერმინირებულ დელიქტებში არ არის აუცილებელი ყველას ერთი და იგივე მიზანი ჰქონდეს.¹¹⁹ მაგალითად, ქურდობაში თანამონაწილეობის დროს საკმარისია ამსრულებელს გააჩნდეს ნივთის მითვისების მიზანი და ეს შეცნობილი ჰქონდეს თანამონაწილეს, მაგალითად დამხმარეს. ეს უკანასკნელი ეხმარება ამსრულებელს ამ მიზნის რეალიზაციაში. თანამონაწილეობა ძირითად შემთხვევაში ხდება პირდაპირი განზრახვით. თუმცა, ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ევენტუალური განზრახვითაც შეიძლება.¹²⁰

თანამონაწილეობა გაუფრთხილებლობით დელიქტებში შეუძლებელია. გაუფრთხილებლობით გამოწვეული შედეგი წინდახედულობის ნორმის დამრღვევის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია. ცნობილია გაუფრთხილებლობის ორი ფორმა: თვითიმედოვნება და დაუდევრობა. თვითიმედოვნების დროს, „სუბიექტი უპასუხისმგებლოდ იმედოვნებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის თავიდან აცილებას, დაუდევრობისას ამ შედეგებს უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო არ ითვალისწინებს.“¹²¹ ამდენად, წინდახედულობის ნორმის დარღვევა მკაცრად პერსონალურია და ამ ნორმებისადმი ჯგუფური დამოკიდებულება შეუძლებელია.¹²²

გერმანიის სისხლის სამართალში რთული თანამონაწილეობის მხოლოდ 2 ფორმა არსებობს: ნაქეზება და დახმარება (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 26-27-ე პარაგრაფები). ორგანიზატორის ინსტიტუტი, როგორც დანაშაულის თანამონაწილეობის შემადგენელი ფიგურა, საერთოდ არ

¹¹⁷ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 201-202.

¹¹⁸ გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო), 2018. გვ. 296

¹¹⁹ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. III; გვ. 274.

¹²⁰ იქვე (შენიშვნა).

¹²¹ გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო), 2018. გვ. 298

¹²² იქვე.

არსებობს გერმანიის სისხლის სამართალში. ყურადღებას იმსახურებს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე (II) პარაგრაფით აღიარებული „თანამონაწილეობის მცდელობა“. იგი ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ინსტიტუტია და ნებისმიერი ორი პირის შეთანხმება დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით ითვლება თანამონაწილეობის მცდელობად. თანამონაწილეობის მცდელობა წარმოადგენს კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შესახებ მოლაპარაკებას. შეთანხმებულ პირებს თანაამსრულებლობის სახით სურთ დანაშაულის ჩადენა ან მის შესასრულებლად ერთობლივად სხვა ადამიანის წაქეზება.¹²³ თანამონაწილეობის მცდელობა შესაძლოა იმ სიცარიელის ამოწავებად განვითარდეს გერმანიაში, რომელიც მომზადების სტადიის არარსებობითაა გამოწვეული. თუკი ორი პირი შეთანხმდება დანაშაულის ჩადენაზე და გამონახავენ საშუალებებს მის ჩასადენად, ისინი პასუხისგებაში მიეცებიან სწორედ ამ ინსტიტუტის საფუძველზე. თუმცა ერთი პირის მიერ დანაშაულის დანაშაულის ჩასადენად საშუალებების მოძიებაზე არაფერია ნათქვამი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში. თანამონაწილეობის მცდელობა საქართველოში სისხლის სამართლისთვის უცნობი ინსტიტუტია.

თანამონაწილეობის მცდელობასთან დაკავშირებით არსებობს გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკა. საქმეს ეწოდება *ჰილპილის პარკის შემთხვევა*.¹²⁴ ორმა პირმა გადანყვიტეს მოლარეს, რომელსაც ერთ-ერთი საწარმოსთვის ბანკიდან ხელფასი გამოჰქონდა ხოლმე, დახვედროდნენ, მისთვის ფული წაერთმიათ და ორი ავტომანქანით გაქცეულიყვნენ. მათ ამ თავდასხმის ყველა წვრილმანი დაგეგმეს. დათქმულ დღეს ისინი მოლარეს ტრამვაის გაჩერებაზე დაელოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ იგი ამ დროს ამ ტრამვაით უნდა მოსულიყო. ისინი მოლარეს ორი ძრავაჩართული მანქანით ელოდებოდნენ და თვალეში შესაყრელად ჰილპილიც მომზადებული ჰქონდათ. ოთხი ტრამვაის მოსვლის შემდეგ ისინი მიხვდნენ, რომ მოლარე აღარ მოვიდოდა და დაიშალნენ.

გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ მათი ქმედება თანამონაწილეობის მცდელობად (ყაჩაღობაში) დააკვალიფიცირა. ამ დანაშაულში ყაჩაღობის მცდელობას ობიექტურად ადგილი არ ჰქონია, რადგან დამნაშავეებისა და შესაძლო მსხვერპლის სფეროები ერთმანეთს საერთოდ არ

¹²³ ამ ინსტიტუტის შესახებ დანვრ. იხ. ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, რედ. ი. დვალიძე; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, 2010; გვ. 321-325.

¹²⁴ BGH NJW 1952, 514-515

შეხება; ესე იგი, დანაშაულის მცდელობისთვის დამახასიათებელ კონკრეტულ საფრთხეს ადგილი არ ჰქონია. აქ სახეზე იყო აბსტრაქტული საფრთხე, რადგან დამნაშავეები და მსხვერპლი დროითა და სივრცით საკმაოდ დაშორებულნი იყვნენ. თუმცა თანამონაწილეობის მცდელობის ინსტიტუტის საფუძველზე ეს პირები პასუხისგებაში მაინც იქნენ მიცემულნი, რომელიც უფრო სავარაუდოა სისხლის სამართლის იმგვარი პოლიტიკა იყო იმ პირთა მიმართაც, რომ ვინც დანაშაულის ჩასადენად დამოუკიდებლად მოამზადებს პირობებს, დაუსჯელი არ დარჩება. საქართველოში *პილპილის პარკის შემთხვევა* იქნებოდა ყაჩაღობის ან ძარცვის მომზადება (სსკ-ის მე-18 და 178-ე ან 179-ე მუხლები).

2. თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება

თანამონაწილეობის აქცესორული თეორია ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილის (ვინრო გაგებით) პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის კვალიფიკაციაზე. ამ თეორიის სანინააღმდეგოდ საბჭოთა კავშირში არსებობდა თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპი.¹²⁵ ამ თეორიის მიხედვით, თანამონაწილე პასუხს აგებდა საკუთარი ქმედებისა და ბრალისთვის იმის მიუხედავად, რა ქმედება ჩაიდინა ამსრულებელმა. საბოლოოდ უარი ითქვა თანამონაწილის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპზე, რადგან იგი არსებითად მცდარია; „თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საერთო საფუძველს დანაშაულში თანამონაწილე ყველა პირთა მოქმედების ერთიანობა წარმოადგენს; ამ ერთიანობის ღერძი ამსრულებელია.“¹²⁶

აქცესორობა ლათინური ტერმინია და ნიშნავს დამატებითს, დამოკიდებულს. ლიტერატურაში განასხვავებენ აქცესორობის ჰიპერაქცესორულ, ლოგიკურ, ლიმიტირებულ და მინიმალურ თეორიებს.¹²⁷ *ჰიპერაქცესორული* თეორიის მიხედვით, ამსრულებლის ბრალის გამომრიცხველი გარემოება გამორიცხავს თანამონაწილის პასუხისმგებლობასაც. *ლოგიკური* აქცესორულობის თანახმად, თანამონაწილე მაშინ აგებს პასუხს, როცა ამსრულებელი მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად. *ლიმიტირებული* აქცესორობისთვის თანამონაწილის პასუხისმგებლობის საფუძველია ამსრულებლის მიერ სისხლისსამართლებრივი

¹²⁵ ავტორთა ჯგუფი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (რედ.: გ. ნაჭყეია, ნ. თოდუა), თბილისი, 2018, გვ. 299.

¹²⁶ იქვე, გვ. 300

¹²⁷ იხ. ქ. მჭედლიშვილ-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები; 2011; გვ. 205-208.

უმართლობის, ესე იგი, ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ჩადენა. *მინიმალური* აქცესორობისთვის ქმედების შემადგენლობის ჩადენაც საკამრისია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, თანამონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეობას ნიშნავს. დანაშაულის ჩადენა თავისი არსით მოიცავს დანაშაულის სამივე კომპონენტის, — ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი, — ერთობლიობას. ქართველი კანონმდებელი იზიარებს ლოგიკური აქცესორობის თეორიას.

ამრიგად, არ არსებობს თანამონაწილეობა ამსრულებლის გარეშე. თანამონაწილეობის ლოგიკური აქცესორული თეორიის მიხედვით, თუ ამსრულებელმა ხელი აიღო საერთო განზრახვის განხორციელებაზე, მაშინ არც დანაშაულში თანამონაწილეობა არსებობს.¹²⁸ თუ ამსრულებლის ქმედება მცდელობის სტადიაზე შეწყდა, თანამონაწილე პასუხს აგებს მცდელობაში თანამონაწილეობისთვის.¹²⁹ ხოლო, თანამონაწილე სრული მოცულობით პასუხს მხოლოდ მაშინ აგებს, როდესაც დანაშაულის ამსრულებელი ბოლომდე მიიყვანს დანაშაულის ჩადენას.

თანამონაწილეობის აქცესორულ ხასიათზე მეტყველებს უშედეგო წაქეზებისა და უშედეგო დახმარების შემთხვევებიც.¹³⁰ კერძოდ, როდესაც სავარაუდო ამსრულებელი თავის თავზე არ იღებს დახმარებას ან წამქეზებლის ზემოქმედებას, საერთოდ არ გვაქვს სახეზე დანაშაულში თანამონაწილეობა. სავარაუდო ამსრულებელი არ ახორციელებს დასჯად სტადიას.¹³¹

3. დანაშაულში თანამონაწილეობის სახეები

3.1. ორგანიზატორი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილი გვთავაზობს დანაშაულში თანამონაწილეობის პირველი სახის, ორგანიზატორის დეფინიციას. ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყობს დანაშაულის

¹²⁸ გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო), 2018. გვ. 300.

¹²⁹ იქვე.

¹³⁰ იქვე.

¹³¹ იქვე.

ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.

როგორც აღინიშნა, გერმანიის სისხლის სამართალი ორგანიზატორს, როგორც თანამონაწილეობის დამოუკიდებელ ინსტიტუტს, არ იცნობს. თუმცა, ეს არ ნიშნავს დანაშაულის ორგანიზატორის დაუსჯელობას. მატერიალურ-ობიექტური თეორია, რომელსაც თავისუფლად იზიარებს გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ორგანიზატორს ამსრულებელთა კატეგორიას მიაკუთვნებს.

საქართველოში თანამედროვე სისხლის სამართალში ორგანიზატორის სამართლებრივი ფიგურა საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლიდან შემოვიდა, კერძოდ, 1958 წლის საკანონმდებლო საფუძვლებში პირველად გაჩნდა ეს ფიგურა, საიდანაც სავალდებულოდ გადმოვიდა 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.¹³² ასევე, დამოუკიდებელი საქართველოს 1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედ კოდექსში კანონმდებლის მიერ გაზიარებულ იქნა ორგანიზატორი სამართლებრივი ფიგურა, როგორც დანაშაულის თანამონაწილე.

ორგანიზატორის საქმიანობა შესაძლებელია მრავალფეროვანი იყოს. ამ საქმიანობაში ხშირად შედის ისეთი მოქმედებებიც, რომლებსაც ახორციელებენ წამქეზებელი და დამხმარე. ორგანიზატორი არის პირი, რომელიც აერთიანებს დანაშაულის ხელმძღვანელობას, სხვა თანამონაწილეთა ძალღონეს, წარმართავს მათ ერთობლივ საქმიანობას დანაშაულის მომზადებისა თუ უშუალო შესრულების პროცესში.¹³³ ამდენად, ორგანიზატორის საქმიანობა თავისი ხარისხითა და ინტენსივობით გაცილებით აღემატება სხვა თანამონაწილეების საქმიანობას. როგორც წესი, ორგანიზატორი უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე სხვა სახის თანამონაწილე.

საქართველოს საკანონმდებლო დეფინიციით (მოქმედი სსკ), დანაშაულის ორგანიზატორობის ობიექტური მხარე პირობითად შეიძლება დაიყოს 3 ნაწილად: 1) დანაშაულის მონაწილეობა, ესე იგი, დანაშაულის დაგეგმვა; 2) დანაშაულის ჩადენის პროცესის ხელმძღვანელობა; 3) ორგანიზებული ჯგუფის შექმნა ან მისი ხელმძღვანელობა. თითოეული ამ სამი ფუნქციიდან ერთის შესრულება საკმარისია პირის ორგანიზატორად მიჩნევისთვის. ამასთან, ორგანიზატორის სამართლებრივი ფიგურა ვერ იარსებებს დამოუკიდებლად

¹³² ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. III; გვ. 275.

¹³³ იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 150.

მინიმუმ ერთი ამსრულებლის გარეშე, რადგან ორგანიზატორი არის დანაშაულში ვიწრო თანამონაწილეობის ფორმა. თანამონაწილეობის ასეთი ფორმის დროს სახეზე უნდა იყოს მინიმუმ ერთი ამსრულებელი, ხოლო ორგანიზატორი (ან სხვა თანამონაწილე) არ ასრულებს ქმედების არც ერთ ნიშანს, მისი როლი მხოლოდ დანაშაულის მოწყობაში, ჩადენის ხელმძღვანელობაში ან ჯგუფის შექმნასა თუ ხელმძღვანელობაში გამოიხატება. თუ ორგანიზატორის ფუნქცია ისე შეიცვალა, რომ ის ქმედების შემადგენლობის განხორციელებაზე გადავიდა, მაშინ სახეზეა თანაამსრულებლობა. ორგანიზატორი თავის თავში მოიცავს როგორც წამქმნებლის, ისე დახმარების ფუნქციებსაც, რადგან იგი ყველაზე საშიში და მრავლისმომცველი როლის მატარებელია.

ორგანიზატორი შეიმუშავებს დანაშაულის ჩადენის გეგმას, აძლევს მითითებებს ამსრულებლებს, როგორ უნდა იმოქმედონ დანაშაულის ჩადენისას; ამდენად ორგანიზატორული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს დანაშაულის ჩადენამდე, როდესაც ორგანიზატორი ამზადებს დანაშაულის ჩადენას (მაგალითად, ქირაობს ბინას, იძენს დანაშაულის იარაღებს, კავშირგაბმულობის საშუალებებს სხვა მონაწილეებთან დაკავშირების გაადვილების მიზნით, რათა დანაშაულის ჩადენისას გასცეს მითითებები). ამდენად, საერთოდ არ არის აუცილებელი, რომ ორგანიზატორი დანაშაულის ადგილზე იმყოფებოდეს, თუმცა არ არის გამორიცხული, დანაშაულის ჩადენას აკვირდებოდეს ახლომდებარე მანძილიდან და კარნახობდეს ამსრულებელს სავალდებულო მითითებებს.

როგორც უკვე წინა თავებში აღინიშნა, ქმედების ჩადენის ადგილზე ყოფნა დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებს. მაგალითად, მაშინ როდესაც სახეზეა ისეთი ფორმალური დელიქტი, როგორიცაა ყაჩაღობა, ამსრულებლის გარდა ორგანიზატორის ფიგურა გადაიქცევა თანაამსრულებლის ფიგურად, რადგან თავდასხმა გამოხატული იქნება ისეთ ნიშანში, როგორიცაა ძალადობის მუქარა; შესაბამისად, აქ სახეზე იქნება ქმედების იმ ნიშნის განხორციელება, რაც ყაჩაღობის დროს არის თავდასხმა. ხოლო ქმედების შემადგენლობის ნაწილის განხორციელება უკვე წარმოადგენს ამსრულებლობას.

თითოეული ის ქმედება, რაც საშუალებას მოგვცემს პირის ორგანიზატორად კვალიფიკაციისთვის, ასევე დეტალურად და სინთეზურად უნდა იქნას განხილული ამსრულებლის ქმედებასთან. მაშინ, როდესაც მოხდება ორგანიზატორის როლიდან გამოსვლა და ქმედების შემადგენლობის სტადიაზე გადასვლა, ყველა შემთხვევაში იქნება თანაამსრულებლობა. როდის იქნება

სახეზე ამ ზღვრის გადაკვეთა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაც ადვილი იქნება მომზადებისა და მცდელობის სტადიების მიხედვით. კერძოდ, მხოლოდ ერთი პირის მიერ დანაშაულის ჩასადენად ორგანიზატორული ქმედებების განხორციელება წარმოადგენს დანაშაულის მომზადების სტადიას. ხოლო მაშინ, როცა ორგანიზატორი მცდელობის სტადიაზე აღმოჩნდება, სახეზე იქნება ამსრულებელი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში აღარ არის საჭირო ორგანიზატორად პირის კვალიფიკაცია, რადგან ამსრულებელი თავის თავში მოიცავს დანაშაულის მოწყობას ან სხვაგვარად ორგანიზებას.

რა ხდება მაშინ, როდესაც სახეზეა უშედეგო ორგანიზება? როგორია დანაშაულის ორგანიზატორის პასუხისმგებლობა, როდესაც ამსრულებელი საერთოდ განერიდება სიტუაციას და არ ასრულებს ორგანიზატორის დავალებებს. როგორც ცნობილია, დანაშაულის ორგანიზატორი უფრო საშიში ფიგურაა და ის თავის თავში მოიცავს წამქეზებლობასაც. სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილში სიტყვასიტყვით მხოლოდ უშედეგო წაქეზებაა გამოაცხადებული დასჯადად, თუმცა კანონმდებელმა ამით გვითხრა ის, რომ თუ უფრო მცირე საშიშროების თანამონაწილე (წამქეზებელი) ისჯება უშედეგო წაქეზებისთვის, მით უფრო მასზე მეტი საშიშროების მქონე ორგანიზატორი წარუმატებელი ორგანიზების დროს დაისჯება დანაშაულის მომზადებისთვის.

ბრალის ფორმის მიხედვით ორგანიზატორის ქმედება პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება.¹³⁴ ორგანიზატორის საქმიანობა ერთმნიშვნელოვნად იქითკენ არის მიმართული, რომ ამსრულებელმა დანაშაული დაუბრკოლებლად განახორციელოს. დანაშაულის მოწყობა, მისი ჩადენის ხელმძღვანელობა არ შეფასდება იმად, რომ ორგანიზატორს არ სურდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენის შედეგად დამდგარი შედეგი. ამდენად, ევენტუალური განზრახვა უნდა გამოირიცხოს.

3.2. წამქეზებელი

სსკ-ის 24-ე მუხლის თანახმად, წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად. თითქმის ასეთივე განმარტებაა მოცემული გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე პარაგრაფში წამქეზებლის შესახებ.

¹³⁴ განსხვავებული აზრის შესახებ, იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 152.

წამქეზებელი იყოლიებს სხვა პირს დანაშაულის ჩასადენად — როგორ უნდა იქნას გაგებული სიტყვა „დაყოლიება“? ესაა შემთხვევა, როდესაც სხვა პირს წამქეზებლის აქტიური ზემოქმედებით აღეძვრება დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილება. მნიშვნელოვანია, რომ ამ პირს არ ჰქონდეს წინასწარ დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილება მიღებული.

წამქეზებლის ქმედება შეიძლება გამოიხატოს დარწმუნებაში, მუქარაში, გასამრჯელოს შეპირებაში, მცდარი მოტივაციის გაღვიძებაში და ა.შ.¹³⁵ ამდენად, წამქეზებლობის საშუალებები მრავალფეროვანია.

როგორც ჩანს, წამქეზებლის ქმედება ერთგვარი სულიერი ზემოქმედების ფორმას ემსგავსება და წასაქეზებელი პირისთვის ისეთი იმპულსის აღძვრაში გამოიხატება, რომ ძირითადი ქმედების ჩადენისკენ გადანყვეტილების მიღებით სრულდება.¹³⁶

წამქეზებელი რამდენადმე ემსგავსება ფსიქიკურ დახმარებას. წამქეზებელიც ინტელექტუალურ ზემოქმედებას ახდენს ამსრულებელზე, ისევე როგორც, ფსიქიკური დამხმარე. თუმცა მათ შორის არსებითი განსხვავებაა: წამქეზებელი ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადამწყვეტ მოტივს უქმნის. ეს იმდენად ძლიერი მოტივია, რომ ამსრულებლისთვის ის წარმოადგენს მნიშვნელოვან ბიძგს გადანყვეტილების მიღებისთვის.¹³⁷ ფსიქიკური დახმარება ხდება ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ გადანყვეტილების მიღების შემდეგ. ფსიქიკური დამხმარე ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილებას განუმტკიცებს.¹³⁸

როდესაც პირი ყოყმანობს დანაშაულის ჩადენას, მას ჯერ კიდევ არ აქვს მიღებული დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილება. გადამწყვეტი მომენტი პირის საბოლოო დარწმუნებაა, რათა მან ჩაიდინოს დანაშაული. სწორედ ეს არის წამქეზებლის მიზანი.

წაქეზება აუცილებლად გულისხმობს აქტიურ ზემოქმედებას სხვის ფსიქიკაზე, ამიტომ უმოქმედობით წაქეზება შეუძლებელია.¹³⁹ უმოქმედობა კი

¹³⁵ ე. გვენცაძე, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე (დისერტაცია), თსუ, 2012, გვ. 36.

¹³⁶ ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება (თარგმანი), 2010, გვ. 326.

¹³⁷ დანჯრ. იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2007, გვ. 156-159.

¹³⁸ იქვე.

¹³⁹ თ. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. III, თბ., 2013, გვ. 279.

ფსიქიკური ზეგავლენას ვერ მოახდენს პირზე, რათა მანდ გადაწყვიტოს დანაშაულის ჩადენა.

წამქეზებლობის არსებობა რამდენიმე პირის მიერ განხორციელებული თანაწამქეზებლობითაც შესაძლებელია.¹⁴⁰ ამასთან, ისიც არის შესაძლებელი, რომ ერთმა პირმა წასაქეზებელი პირის ზემოქმედების მიზნით სხვა ადამიანიც გამოიყენოს, ე.წ. შუალობითი წამქეზებლობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის წაქეზების წაქეზება. მაგ.: ერთი პირი აქეზებს მეორეს, რათა ამ უკანასკნელმა წააქეზოს მესამე დანაშაულის ჩასადენად. პირველი და მეორე პირები წამქეზებლები არიან.

სუბიექტურად, წაქეზება პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი. ძნელია ევენტუალური განზრახვით წაქეზების დასაბუთება. წამქეზებლობა უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული. წამქეზებელს ამოძრავებს ერთი მხრივ განზრახვა, რომელიც მიმართულია სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენისაკენ; მეორე მხრივ განზრახვა მიმართულია იდენტიფიცირებული ინდივიდუალური პირ(ებ)ის მიმართ დაკონკრეტებული ქმედების განხორციელებისა და დამთავრებისაკენ.¹⁴¹ ესე იგი, თუ წაქეზება ზოგადად მიმართულია დანაშაულის ჩადენისკენ, მაგალითად, „მაღაზიებისა და სახლების გაქურდვისკენ“, ანუ ასეთი გვარეობითი ნიშნების მიხედვით სხვადასხვა ობიექტებზე თავდასხმისაკენ, მაშინ წაქეზება განსაზღვრულობის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.¹⁴² ამიტომ, შეუძლებელი უნდა იყოს წამქეზებლობა ევენტუალური განზრახვით.

წამქეზებელი სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფს ამსრულებლის მემვეობით, ისევე როგორც შუალობითი ამსრულებელი იყენებს სხვა პირს და ასე აზიანებს სამართლებრივ სიკეთეს. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ წამქეზებელიც და ამსრულებელიც სრულდელიქტუნარიანი პირები არიან, ხოლო შუალობითი ამსრულებლობის დროს, დანაშაულის უშუალო ჩამდენი პირი პასუხს არ აგებს ბრალუუნარობის გამო ან პასუხს აგებს სხვა უმართლობისთვის.

წამქეზებელის ფუნქცია, როგორც წესი, მაშინვე ამოიწურება, როდესაც ის დაარწმუნებს პოტენციურ ამსრულებელს, ჩაიდინოს დანაშაული. რასთან გვაქვს საქმე, **უშედეგო წაქეზების** დროს? თუკი ამსრულებელმა გადაიფიქრა

¹⁴⁰ ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება (თარგმანი), 2010, გვ. 327.

¹⁴¹ იქვე, 328.

¹⁴² ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება (თარგმანი), 2010, გვ. 328

დანაშაულის ჩადენა, წამქეზებელი დაისჯება შესაბამისი დანაშაულის მომზადებისთვის (სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწ.). კანონმდებლის ასეთი გადანაცვტილება ლოგიკურია, რადგან წარმატებული წაქეზების შემთხვევაში, როდესაც პოტენციური ამსრულებელი დაყოლიებულია კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ არ დაუწყია ქმედების შემადგენლობის განხორციელება, მაშინ წამქეზებელი პირი პასუხს აგებს მომზადებაში თანამონაწილეობისთვის. თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე უშედეგო წაქეზების დროს საერთოდ აღარ არის თანამონაწილეობა სახეზე, არამედ წამქეზებელი თვითონ არის დაუმთავრებელი დანაშაულის (მომზადების) ამსრულებელი.

3.3. დამხმარე

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში დახმარება განმარტებულია, როგორც პირის მიერ სხვა პირისთვის განზრახ დახმარების განწევა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში (27-ე პარაგრაფი). არსებითად, დახმარების შინაარსი ორივე სახელმწიფოს სისხლის სამართალში ერთნაირია.

დახმარების საკანონმდებლო დეფინიცია საქართველოში განმარტებულია ზოგადი ფორმულით, დახმარების რაიმე კონკრეტულ სახესა და ფორმაზე მიუთითებლად, რაც გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. დახმარება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისებური და ინდივიდუალურია.¹⁴³

საქართველოს 1960 წლის სსკ-ის მე-19 მუხლში დახმარების ცნებაში დაკონკრეტებული იყო მისი ცალკეული შემთხვევები. ამასთან მასში აქცენტი გაკეთებული იყო არა ქმედებაზე, არამედ პირზე. კერძოდ, მასში ნათქვამი იყო: „დამხმარედ ჩაითვლება პირი, ვინც დანაშაულის ჩადენას ხელს შეუწყობს რჩევე-დარიგებით, მითითებით, საშუალებათა მიცემით ან დაბრკოლებათა თავიდან აცილებით, აგრეთვე პირი, ვინც წინასწარ დაპირდება, რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის ჩადენის იარაღებსა და საშუალებებს, დანაშაულის კვალს ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ საგნებს“.

¹⁴³ ავტორთა ჯგუფი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (რედ.: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა), თბილისი, 2018, გვ. 317.

ლიტერატურაში განსხვავებენ დახმარების ორ ფორმას: ფიზიკურ და ფსიქიკურ (ინტელექტუალური) დახმარებას. ფიზიკური დახმარება, შესაძლებელია დაიყოს ორ სხვადასხვა ფორმად: 1) ამსრულებლისათვის იარაღის ან სხვა საშუალების გადაცემა; 2) დაბრკოლების თავიდან აცილება.¹⁴⁴ საშუალების გადაცემად ჩაითვლება, მაგალითად, მორგებული გასაღების დამზადება და გადაცემა ამსრულებლისთვის, რომელმაც უნდა შეაღწიოს საცავში ქურდობის ჩასადენად; მკვლელობის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღის გადაცემა ამსრულებლისთვის. დაბრკოლების თავიდან აცილებაში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც დამხმარე უადვილებს ამსრულებელს ქმედების ჩადენის შესაძლებლობას. მაგალითად, მკვლელობის მომენტში დამხმარე ცდილობს არ დაუშვას მსხვერპლის ახლობლების მცდელობა, მოიგერიონ მკვლელის თავდასხმა. ასევე, დაბრკოლების თავიდან აცილება იქნება ქურდობის დროს დამხმარის მიერ დარაჯის დათრობა, რათა ამსრულებელმა შეაღწიოს დაცულ ობიექტში. მნიშვნელოვანია, რომ დამხმარის მოქმედება არ გადაიზარდოს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში დახმარებას ჩაანაცვლებს თანაამსრულებლობა. ამას ადგილი ექნება მაშინ, როდესაც დამხმარის ქმედებაში დანაშაულის მცდელობის ერთი ნიშანი მაინც გაჩნდება. მაგალითად, თუ დამხმარე პირი შეუდგება ბინაში უკანონო შეღწევას ქურდობის მიზნით, მაგალითად სხვადასხვა ხელსაწყოთი ეცდება კარის გაღებას, ეს ქმედება უშუალოდ იქნება მიმართული ქურდობის ჩადენისაკენ, რაც იმნუთიერ საფრთხეს უქნის სამართლებრივ სიკეთეს. მეორე ამსრულებელი მართო პირველის მიერ კარის გაღების შემდეგ მართო რომც შევიდეს ბინაში და მოაგროვოს ნივთები, მაინც თანაამსრულებლობა იქნება სახეზე, რადგან ბინაში შეღწევის ნიშანი, როგორც ქურდობის დამამძიმებელი გარემოების ქმედების ნიშანი, განხორციელდა იმის მიერ, ვინც კარს აღებდა.

ფსიქიკური (ინტელექტუალური) დახმარება გამოიხატება ამსრულებლისათვის რჩევა-დარიგების მიცემით ან უბრალოდ შემთხვევის ადგილზე დგომით და ფსიქოლოგიური გამხნევებით. დანაშაულის ჩადენის დროს ამსრულებლის გვერდით დგომა დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებს ერთი მხრივ ფორმალურ და მეორე მხრივ მატერიალურ დელიქტებში.¹⁴⁵ მაგალითად, ყაჩაღობა (ფორმალური დელიქტი), რომელიც

¹⁴⁴ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. III, თბ., 2013, გვ. 280.

¹⁴⁵ ამასთან დაკავშირებით დაწვრილ ნ. ნ. თოდუა; სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები); სახელმძღვანელო იურისტებისთვის; თბ.; 2015; გვ. 28-76.

მსხვერპლზე თავდასხმით-აგრესიული აქტით ხორციელდება, შესაძლებელია ერთი პირის მიერ იარაღის დემონსტრირებით. მეორე პირის დგომა პირველ პირთან ერთად თავდასხმის პროცესში არ უნდა შეფასდეს დახმარებად, რადგან დგომის ფაქტი წარმოადგენს თავდასხმაში მონაწილეობას (კონკლუდენტური ქმედებით განხორციელებული მუქარა). მაშასადამე, მეორე პირიც ახორციელებს ქმედების შემადგენლობას (თავდასხმისას მუქარა ყაჩაღობის ქმედების ნიშანია, სსკ-ის 179-ე მუხლი), რაც წარმოადგენს თანამსრულებლობას. ხოლო ისეთ მატერიალურ დელიქტში, როგორცაა მკვლელობა, ამსრულებლის მიერ ქმედების ჩადენის დროს მეორე პირის დგომის ფაქტი არ წარმოადგენს მკვლელობის ქმედების ნიშანს. ამ შემთხვევაში სახეზეა ფსიქიკური დახმარება ანუ ვიწრო გაგებით თანამონაწილეობა (იხ. დასაბუთება ამავე ნაშრომის II (3) თავში).

დახმარება, როგორც წესი, აქტიური მოქმედებით ხორციელდება. თუმცა შესაძლებელია უმოქმედობით დახმარებაც. ამას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სპეციალური მოვალეობის მქონე პირი არ უშლის ხელს ამსრულებლის მიერ ქმედების ჩადენას.¹⁴⁶ მაგალითად, დარაჯი დამნაშავესთვის წინასწარი შეპირებით ხელს არ უშლის დაწესებულების გაძარცვას; ეს მაგალითი არ უნდა ჩაითვალოს დანაშაულის შემხებლობად, რადგან დარაჯს აქვს სამსახურებრივად დაკისრებული ვალდებულება, დაიცვას შესაბამისი ობიექტი და მოსალოდნელი თავდასხმის არსებობის შემთხვევაში განაცხადოს სამართალდამცავ ორგანოებში. უმოქმედობით ჩადენილი დახმარება იქნება ასევე მაგალითი, როდესაც მეურვე ხელს არ უშლის მეურვეობაში მყოფი პირისათვის ჯანმრთელობის დაზიანებას. მეურვე არის მეურვეობაში მყოფი პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გარანტი. სხვა მაგალითის მიხედვით, დარაჯმა არ დაკეტა საწყობი, რათა ხელი შეუწყოს ქურდს. აქ დარაჯის უმოქმედობა მიმართულია იქეთკენ, რომ ამსრულებელმა დაუბრკოლებლად განახორციელოს ნივთების დაუფლება. ესე იგი, უნდა ვიფიქროთ, რომ დარაჯი წინასწარ შეუთანხმდა დამნაშავეს საწყობის კარის ღიად დატოვებაზე. ამდენად, სახეზეა თანამონაწილეობა გამოხატული დახმარების ფორმით. დანაშაულის შემხებლობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც, სახეზეა ჩვეულებრივი სუბიექტი, რომელსაც არ ევალება დანაშაულთან ბრძოლა და რომელიც წინასწარ შეუპირებლად დაფარავს დანაშაულებრივ ქმედებას.¹⁴⁷

¹⁴⁶ ავტორთა ჯგუფი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (რედ.: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა), თბილისი, 2018, გვ. 317.

¹⁴⁷ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (ავტორთა ჯგუფი), 2007; გვ. 235-236.

როგორ უნდა დაკვალიფიციროდეს უშედეგო დახმარება? მაგ. ამსრულებელი არ იყენებს დამხმარის მიერ გადაცემულ საშუალებებს. სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილით უშედეგო ნაქვებზეა ისჯება, როგორც დანაშაულის მომზადება. ესე იგი, კანონმდებელმა წარუმატებელი ნაქვებზეა მომზადებად შეათვასა. მასზე უფრო მცირე საშიშროების მქონე სამართლებრივ ფიგურაზე (დახმარება) კანონმდებლის მხრიდან ადგილი აქვს კვალიფიციურ ღუმელს, შესაბამისად 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის ანალოგიით გამოყენება და უშედეგო დახმარების დანაშაულის მომზადებად დაკვალიფიცირება დაუშვებელია.¹⁴⁸

დახმარება მიმართული უნდა იყოს კონკრეტული ამსრულებლისკენ, რომელმაც უნდა ჩაიდინოს დანაშაული. ესე იგი, ერთგვარად უნდა არსებობდეს შეთანხმება ამსრულებელსა და დახმარეს შორის. არის თუ არა დახმარება ისეთი შემთხვევა, როდესაც ამსრულებელმა არ იცის, რომ მას ეხმარებიან? ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანიის სისხლის სამართლის პრაქტიკაში მომხდარი *კარტის მოთამაშეების შემთხვევა*.¹⁴⁹ სამი მეგობარი უცნობ მამაკაცს ლუდხანაში კარტს ეთამაშებოდა. თამაშისას სამიდან ერთი მეგობარი გარეთ გავიდა და უცნობის მანქანიდან ნივთების მოპარვა დაიწყო, რის შესახებაც არაფერი იცოდნენ დარჩენილმა მეგობრებმა. მეორე მეგობარი რამდენიმე ხანში მას უკან გაჰყვა და როცა დაინახა, რას აკეთებდა პირველი, ლუდხანიდან გარეთ გამოსვლის მოსურნე უცნობ მამაკაცს (მანქანის მეპატრონე), რომელსაც ასევე თავისი მანქანისკენ აელო გეზი, კარიდან გამოსვლაში შეუშალა ხელი. ეს არ გაუგია პირველ მეგობარს, რომელიც ნივთებს იპარავდა. გერმანიის ფედერალური სასამართლოს წინაშე გადასაჭრელად იდგა შემდეგი საკითხი: იყო თუ არა აუცილებელი დამხმარედ კვალიფიციაციისათვის ამსრულებელს სცოდნოდა დამხმარების შესახებ?

კითხვის ნიშანს არ იწვევს ის გარემოება, რომ კარის დაკეტვა და ამ გზით დანაშაულის ჩადენის გაადვილება ამსრულებლისთვის, ზოგადად, ფიზიკური დახმარების შემთხვევაა (უკეთუ ცნობილია ამსრულებლისთვისაც ეს გარემოება). ამ შემთხვევაში თანაამსრულებლობა გამორიცხულია, რადგან თანაამსრულებლობისთვის აუცილებელია პირების მიერ ცნობიერად, ერთად მოქმედება - ანუ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ერთად განხორციელება. ამდენად, საქართველოში დამატებით აუცილებელია

¹⁴⁸ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრისი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 239.

¹⁴⁹ BGHSt 6, 248-251

ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება ორივე ამსრულებლის მიერ, რათა თანაამსრულებლობად ჩაითვალოს დანაშაულის ჩადენა.

მოცემულ შემთხვევაში თანაამსრულებლობის გამორიცხვის შემდეგ დღის წესრიგში დადგა თანამონაწილეობის განხილვა. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ მეორე მეგობრის ქმედება ჩათვალა დახმარებად, რაც გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. დამხმარეს ჰქონდა განზრახვა საკუთარი ქმედების ჩადენის მიმართ (დახმარება) და ასევე მას განზრახვა ჰქონდა ქურდობისა, რასაც ამსრულებელი ჩადიოდა.

იგივე გადანყვეტილების დასაბუთება ანალოგიურ შემთხვევაში საქართველოში პრობლემურია, რადგან სსკ-ის 23-ე მუხლის რედაქციით, თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში. მოცემულიდან რედაქციიდან დგინდება, რომ სახეზე უნდა იყოს თანხმობა თანამონაწილეებსა და ამსრულებელს შორის, რასაც ადგილი არ ჰქონია მოცემულ კაზუსში.

საქართველოს კანონმდებელმა თანამონაწილეობა იმგვარად შეზღუდა, რომ სახეზე უნდა იყოს მოცემული **განზრახ ერთობლივი** მონაწილეობა, რაც ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილემ უნდა იცოდეს, ვის ეხმარება და ასევე, ამსრულებელიც უნდა იყოს ინფორმირებული, რომ თანამონაწილე ეხმარება მას. ამ კაზუსში ასეთ ცოდნას ამსრულებლის მხრიდან ადგილი არ ჰქონია. ესე იგი, ეს არ არის თანამონაწილეობა.

ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს, სსკ 23-ე მუხლში საუბარია თანამონაწილეობის ფართო თუ ვიწრო გაგებაზე?

მუხლის დისპოზიციიდან ჩანს, რომ აქ იგულისხმება ფართო გაგებით თანამონაწილეობა, ესე იგი, ამსრულებლობაც, რადგან აქ ხაზგასმა გაკეთებულია ორ ან მეტ პირზე. ამასთან, სრულებლით არაა აუცილებელი, საქმეში მინიმუმ ორი თანამონაწილე იყოს. საკმარისია, ერთი თანამონაწილე და ერთი ამსრულებელი. შესაბამისად, ერთი თანამონაწილე (მაგ. დამხმარე) და ერთი ამსრულებელი უკვე წარმოადგენს ფართე გაგებით თანამონაწილეობას. შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ სსკ 23-ე მუხლში ნაგულისხმევია ფართო გაგებით თანამონაწილეობა.

ამდენად, განსახილველ კაზუსში ქმედების თანამონაწილეობით (დახმარებით) კვალიფიკაცია გამორიცხულია.

საქართველოში ზემოთმოცემულ კაზუსში არსებული „დამხმარე“ შეიძლება დაისაჯოს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის (სსკ 220-ე მუხლი) ან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის (სსკ 332-ე მუხლი), იმისდა მიხედვით, სახეზეა კერძო სფეროში უფლებამოსილებით აღჭურვილი სუბიექტი თუ საჯარო სფეროში — მოხელე. ზოგადად, დანაშაულის მიმნებლობა საერთოდ არ არის დასჯადი, თუკი სახეზეა ჩვეულებრივი ფიზიკური პირი, რომელიც არც თანამდებობის პირია და არც რაიმე სხვა პოზიცია უკავია კერძო სფეროში.¹⁵⁰ ამდენად, ზემოთმოყვანილ კაზუსში არ იკვეთება სპეციალური სუბიექტი, შესაბამისად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დადგება სსკ-ის 332-ე და არც 220-ე მუხლების მიხედვით. თუმცა „დამხმარე“ დარაჯი შეიძლება დაისაჯოს დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის (სსკ-ის 376-ე მუხლი) იმის მიხედვით, სახეზეა თუ არა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

VI. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით ყველა პირისთვის აღიარებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, რაც ნიშნავს საქმის კომპეტენტურ, ობიექტურ და სრულ გამოკვლევას დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. ამ უფლებით სარგებლობა ყოველი ბრალდებულის ინტერესშია, რადგან სისხლის სამართლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ფორმები გამოირჩევა პირის უფლებების მკაცრი შეზღუდვით, რაც მოითხოვს მკაფიო არგუმენტაციასა და დასაბუთებას. სასამართლო უნდა იდგეს მოწოდების სიმალლეზე და თავისუფლად განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები იმ შემთხვევაში, როდესაც მიიჩნევს, რომ ბრალდებულს არ ჩაუდენია შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ქმედება ან ჩაიდინა ნაკლებად მკაცრი დანაშაული. სასამართლო, როგორც ნეიტრალური ორგანო, გარემოებების შეფასებისას უნდა დაეყრდნოს მხოლოდ და მხოლოდ კანონს.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განხილულმა პრობლემებმა აჩვენეს, რომ არც თუ იშვიათად ბრალდებულს დაუსაბუთებლად უმძიმდება პასუხისმგებლობა, როდესაც ობიექტურად იგი მხოლოდ დანაშაულის თანამონაწილეა, თუმცა მიჩნეულია ამსრულებლად შესაბამისი

¹⁵⁰ საჯარო მოხელის მიერ ჩადენილი მიმნებლობისას ქმედების კავლიფიკაციაზე იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწ. წიგნი მე-2, თბ. 2017, გვ.377-378

დანაშაულის ჩადენაში. აღნიშნულ კვალიფიკაციას ავტომატურად მივყავართ ჯგუფურობის კვალიფიკაციამდე, თუკი ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა არის მაკვალიფიცირებელი ნიშანი შესაბამისი დანაშაულის ჩადენისთვის. ამ უკანასკნელი ვითარების ასახსნელად მოშველიებული მსჯელობა ეყრდნობა გერმანიის ფედერაციაში გავრცელებული თეორიებს, რაც არსებითად მიუღებელია ქართული სისხლის სამართლისათვის. საკითხის იმგვარად განმარტება, რომ ობიექტურად დანაშაულის თანამონაწილე პირი ამსრულებელია, ეწინააღმდეგება იურიდიულ დოქტრინასა და კანონმდებლის ნორმატიულ ნებას. ქართული სისხლის სამართალი ეფუძნება სუბიექტთა როლების მკაფიო გადანაწილებას; ასევე-ამსრულებლის ფორმალურ-ობიექტურ თეორიასა და თანამონაწილეობის ამომწურავად ჩამოთვლილ ფორმებს და არა გერმანიის სისხლის სამართალში არსებულ ამსრულებლის თეორიებს, რომლებსაც ქართული სისხლის სამართლის სინამდვილეში ნორმატიული საფუძველი არ აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თინათინ წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბილისი, 2007;
2. ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბილისი, 2011;
3. იოჰანს ვესელსი, ვერნერ ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, (ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორი ირაკლი დვალიძე), 2010;
4. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტორთა ჯგუფი (რედ. გ. ნაჭყებია, ი. დვალიძე), თბილისი. 2007;
5. გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი 2004;
6. ოთარ გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბილისი, 1974;
7. ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2005;
8. ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბილისი, 2013;
9. ნონა თოდუა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), თბილისი, 2015;
10. ავტორთა ჯგუფი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, I წიგნი, მე-6 გამოცემა, თბილისი, 2016;
11. ავტორთა ჯგუფი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, II წიგნი, მე-5 გამოცემა, თბილისი, 2017;
12. ავტორთა ჯგუფი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (რედაქტორები: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა), თბილისი, 2018;
13. მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013;
14. Volker krey, German Criminal Law, General part, Textbook in German and English, 2002.

სადისერტაციო ნაშრომი და სტატიები:

1. ელენე გვენცაძე, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე (დისერტაცია), სამეცნიერო ხელმძღვანელი ნინო გვენცაძე, თსუ, 2012;
2. მარტინ ჰაულ ვასმერი, „ამსრულებლობა და თანამონაწილეობა, ასევე იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

საქართველოსა და გერმანიაში“, (სტატია), გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2016;

3. Neha Jain, The Control Theory of Perpetration in International Criminal Law (article), Chicago Journal of International Law, 6-1-2011.

ნორმატიული მასალა:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999 წ. 22 ივლისი);
- 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- German criminal code, (in English);
- საქართველოს კონსტიტუცია (1995, 24 აგვისტო);
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950, 4 ნოემბერი);

ელექტრონული რესურსები:

- <https://matsne.gov.ge/>
- www.juris.de
- <https://www.wikipedia.org/>
- <http://www.supremecourt.ge/>
- <http://tcc.gov.ge/>
- <http://www.tbappeal.court.ge/>
- <https://www.geostat.ge/ka>